





პროფესიული განვითარება

# პედაგოგისთვის მთავარი გამოწვევა სისტემაში მიმდინარე სიახლეებია

პირველი გვერდიდან

– მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში მოქმედებს სახელმწიფო პროგრამა პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარებისათვის. გთხოვთ, გვიამბეთ ამ პროგრამის შესახებ

– მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში, 2014 წლიდან, ფუნქციონირებს სახელმწიფო პროგრამა სახელმწიფო „პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება“. თუმცა, პედაგოგთა ტრენინგებს 2011 წლიდან ვახორციელებთ, მაშინ იგი სხვა პროგრამის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო, ბოლო ორი წელი კი ცენტრის ფარგლებში მოქმედი სახელმწიფო პროგრამაა. მისი მთავარი სამიზნე ჯგუფია პროფესიული განათლების პედაგოგები, რომელთა პროფესიული განვითარების მიზნით იგეგმება ტრენინგები, კონფერენციები, სამუშაო შეხვედრები, ე.წ. ვორკშოპები, კონფერენციები და სხვ.

სანამ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ღონისძიება დაიგეგმება, აუცილებელია, რომ განისაზღვროს მისი თემატიკა – რა თემაზე ვთავაზობთ მასწავლებლებს პროფესიული განვითარების ტრენინგს. ტრენინგების თემატიკას რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით ვადავებთ. პირველი და ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეები, რომელთა შესახებ აუცილებლად უნდა იცოდეს პედაგოგმა, რომ მზად იყოს მათ მისაღებად და დასაწერად. მეორე – ტრენინგები იგეგმება თავად მასწავლებლების საჭიროებებიდან გამომდინარე, ანუ ერთი მხრივ ჩვენ გვაქვს სახელმწიფო დაკვეთა – რა სიახლეც არსებობს პროფესიულ განათლებაში, შესაბამისი პროფესიული განვითარების ღონისძიებაც უნდა დაიგეგმოს მასწავლებლებისთვის, ხოლო მეორე მხრივ ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ თავად მასწავლებლის საჭიროებები და ამის შემდეგ დაგვეგმოს პროფესიული განვითარების ღონისძიებები.

– რა არის მთავარი გამოწვევა პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის დღეს?

– იმის გამო, რომ ბოლო ათწლეულებში რადიკალურად შეიცვალა პროფესიული განათლების არსი (იგი დასაქმების რეალურ საშუალებად იქცა), სერიოზული გამოწვევების წინაშე დადგა მისი ერთ-ერთი მთავარი ფიგურა – მასწავლებელი. ათეული წლების განმავლობაში მას არ ჰქონდა ვალდებულება, რაიმე შეეცვალა საკუთარ პედაგოგიურ უნარებში, ეზრუნა ცოდნის შევსებასა და განახლებაზე. დღეს კი, იმის გამო, რომ პროფესიული განათლება ძალიან დინამიური, ცვალებადი და სწრაფად განვითარებადი სისტემაა, პედაგოგის მთავარი ამოცანაა, ყოველდღიურ რეჟიმში, ჯერ მიიღოს ინფორმაცია სიახლეების შესახებ, ხოლო შემდეგ დაგეგმოს და იზრუნოს ახალი ცოდნისა და უნარების დაუფლებაზე. ამ აუცილებლობის გარეშე გატარებული ყოველი დღე დაკარგულად შეიძლება ჩაითვალოს. ასეთი გამოწვევის წინაშე მასწავლებლის მართლაც დატოვება არ შეიძლება. მას დახმარება სჭირდება სახელმწიფოს მხრიდან. მასწავლებელს საშუალება უნდა მიეცეს, რომ განვითარდეს. შესაბამისი ტრენინგები, სახელმძღვანელოები, სასწავლო რესურსებითა და გამართული ინფრასტრუქტურით. განვითარება შეუქცევადი პროცესია მასწავლებლისთვის, თუმცა ეს არ ეხება მხოლოდ მასწავლებელს, ეს ეხება პროფესიულ განათლებაში მომუშავე ყველა ადამიანს, მათ შორის, ჩვენც, რადგან საქმე გვაქვს ძალიან სწრაფად ცვალებად, მოთხოვნად და ქვეყნის ეკონომიკისთვის მეტად მნიშვნელოვან სფეროსთან. პროფესიული განათლება ყოველწლიურად მოთხოვნადი ხდება და მასში ჩართვის მსურველთა რაოდენობა ყოველ წელს იზრდება. პროფესიულ განათლებაში არსებული პროფესიების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და მსურველებს მისი მოპოვება შეუძლიათ [www.vet.ge](http://www.vet.ge) -ს მეშვეობით. პროფესიული განათლების განსაკუთრებული პოპულარობა ბოლო წლებში მრავალი ფაქტორითაა განპირობებული, მათ შორის უმნიშვნელოვანესი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მოდერნიზაცია და დასაქმების მაღალი შესაძლებლობებია.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების სახელმწიფო პროგრამის განხორციელების პირველი ეტაპი დაიწყო ტრენინგებით პედაგოგებში, ისეთი ზოგადი თემებით, როგორცაა სწავლების ინტერაქტიული მეთოდები, გაკვეთილის დაგეგმვა, სასწავლო პროცესის წარმართვა, კოლეგებთან ურთიერთობა და ა.შ. პარალელურ რეჟიმში, ყოველთვის, ტარდებოდა ტრენინგები საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებებში. მოგეხსენებათ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი სფეროა სასწავლო-პრაქტიკული პროცესის თანამედროვე სტანდარტებით წარმართვისათვის. უმარტივესი საკითხებიდან დაწყებული ინტერნეტ – ბლოგების შექმნით დამთავრებული, შეისწავლეს ჩვენმა პედაგოგებმა. დღესათვის პროფესიული განათლების მასწავლებელთა ნახევარზე მეტმა მიიღო ინტერნეტ ტრენინგების სერტიფიკატი.

– რას გვეტყვით ინკლუზიური განათლების შესახებ პროფესიულ განათლებაში?

– ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევა ჩვენი და არა მარტო ჩვენი სისტემის პედაგოგებისათვის ინკლუზიური განათლებაა. ვინაიდან ეს სიახლეა ჩვენს რეალობაში და არავითარი გამოცდილება ამ მიმართულებით აქამდე არ არსებობდა, დაწყება მოგვიხდა სრულად ელემენტარული საკითხების

შესწავლით – რა არის ინკლუზიური განათლება, როგორ მივუდგეთ სსმ და შშმ სტუდენტებს – აქ იგულისხმება არა მარტო გარკვეული დარღვევების მქონე სტუდენტები, რომელთაც შესაბამისი გარემო პირობები სჭირდებათ, არამედ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებიც, რომელთაც შესაძლოა ენობრივი ბარიერის პრობლემა ჰქონდეთ. განათლებაში კი, ნებისმიერი ნიშნით განსხვავებული ყველა სტუდენტი თანაბრად უნდა მოიცვალოს. ასე რომ, პედაგოგთა ინკლუზიური განათლების გარეშე არ არსებობს. როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მუშაობენ სპეციალური მასწავლებლები, რომელთაც გავლილი აქვთ შესაბამისი კურსები და ეხმარებიან სხვადასხვა დარღვევების მქონე სტუდენტებს სასწავლო პროცესში. პროფესიული განათლება, როგორც მოგეხსენებათ, ერთ-ერთი ყველაზე ხელსაყრელი შესაძლებლობაა სსმ და შშმ პირების დასაქმებისათვის შრომის ბაზარზე. შესაბამისად, იმის აღბათობა, რომ მასწავლებელს მოუწევს ამგვარ სტუდენტებთან მუშაობა, საკმაოდ მაღალია. პროფესიული განათლების მასწავლებელი საკმარისად მომზადებული უნდა იყოს ამ გამოწვევისათვის. მასწავლებლის როლი შეუცვლელია სტუდენტებისათვის პროფესიული ცოდნისა და უნარების ათვისებაში.

– რა სახის ტრენინგები ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის?

– პროფესიული პედაგოგის განვითარება მხოლოდ ჩვენ მიერ განხორციელებულ მიხედვით არ მიმდინარეობს, დაკვეთა, ზოგჯერ, თავად მასწავლებლების მხრიდანაც მოდის. ტრენინგების დაგეგმვის დროს ვითვალისწინებთ მასწავლებელთა მოსაზრებებს, შენიშვნებს, შემოთავაზებებს და ამის მიხედვით ვგეგმავთ სამომავლო ტრენინგებს.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარება მხოლოდ პედაგოგის მიმართულებით არ ხორციელდება. 2014 წლიდან ჩვენი პედაგოგები პრაქტიკული ხასიათის ტრენინგებს გადიან საწარმოებში: მაგალითად, მზარეულები – რომელიმე საერთაშორისო დონის სასტუმროს რესტორანში, ერთ-ერთ კერძო კომპანიაში – მეკრავები, ასევე სტილისტებმა გაიარეს ტრენინგები ისი პარის სალონთა ქსელში. მასწავლებლების კმაყოფილება ამგვარი ტრენინგებით საკმაოდ მაღალია. ამახადსტურებს მათი გამოკითხვის შედეგები. ისინი აღფრთოვანდებიან არ მალავენ იმ ტექნოლოგიური სიახლეების გაცნობითა და ახალი მიდგომებით, რაც მათ სფეროში არსებობს. სანარმოში ტრენინგების პრაქტიკა სამომავლოდ გაგრძელდება, რადგან ის ხელს უწყობს დამსაქმებელთან მასწავლებლის კომუნიკაციას, უახლესი ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში გამოყენებას და საბოლოოდ სტუდენტისთვის ხარისხიანი განათლების მიღებას, რათა ის კონკურენტუნარიანი იყოს შრომის ბაზარზე.

პროფესიულ განათლებაში ერთი მნიშვნელოვანი სიახლეა – მოდულური პროგრამების დანერგვა, რომელიც 2015 წელს დაიწყო. ეს არის პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროგრამების მიხედვით სწავლება და ბუნებრივია, დანერგვამდე საჭირო იყო პედაგოგების მომზადება, რისთვისაც ჩაუტარდა ტრენინგები – შესავალი მოდულური სწავლებაში და შეფასებაში. ასეთი ტრენინგები წელსაც გაგრძელდება იმ ახალ პროფესიებში, რომელშიც დაიწყება მოდულური სწავლება. მხოლოდ ტრენინგები მასწავლებლებისთვის საკმარისი არ არის, რათა წარმატებით მოხდეს მოდულური პროგრამების დანერგვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ამიტომ წელს ტრადიციულ ტრენინგებს დავამატებთ ინდივიდუალური კონსულტაციების პროგრამას, რომლის ფარგლებში მასწავლებლებს საშუალება მიეცემა ტრადიციული ტრენინგების გარდა, მიიღონ ინდივიდუალური რჩევები და რეკომენდაციები ტრენერ-კონსულტანტებისაგან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სიძნელეების გადასაღებად.

ორიოდ სიტყვით მინდა შევეხო ტრენინგების ჩატარების წესსა და პროცედურას. პირველ რიგში უნდა აღვნიშნო, რომ ყველა ტრენინგი პედაგოგებს ადგილებზე უტარდებათ, მათ ამისთვის თბილისში ჩამოსვლა არ უწევთ. ჩვენი ტრენინგები მიდინს ყველა რეგიონში და, თემის საჭიროებიდან გამომდინარე, 2-4 ან 5-დღიან ტრენინგებს ადგილებზე უტარებენ პროფესიულ პედაგოგებს. გარდა ამისა, ტრენინგის დასრულების შემდეგ ტრენინგი ფასდება მასწავლებლის მიერ. ჩვენ აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, რა სარგებელი მიიღო ტრენინგიდან მასწავლებელმა. ტრენინგის დასრულების შემდეგ ხდება მასწავლებლის მიერ ტრენინგზე მიღებული ცოდნის შეფასება. ასევე, თავად ტრენინგი ფასდება ყველა ტრენინგის შემდეგ. საბოლოოდ გვაქვს სრული სურათი – სად როგორი შედეგები მივიღეთ განვლილ მუშაობით, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ერთი ციკლი დასრულებულია. მომავალი ტრენინგების დაგეგმვისას იგივე თემები აღარ ბრუნდება, გამოაკლისთა ორი პრობლემა – ერთია ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, რომელიც მუდმივად განახლებადია და მასწავლებლისგან სიახლეების შესწავლას მოითხოვს და მეორეა ახალი კადრების საჭიროების გათვალისწინებით ტრენინგების დაგეგმვა.

– პროფესიული განათლების მასწავლებელთა საქმიანობის რეგულირებისთვის თუ ხორციელდება რაიმე სახის ღონისძიებები?

– ჩვენ მიერ განხორციელებული დახმარება პედაგოგთა პროფესიული განვითარების კუთხით უფრო ეფექტური და ხარისხიანი რომ იყოს, აუცილებელია საკითხისადმი სისტემური მიდგო-



მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სახელმწიფო პროგრამის მენეჯერი ნინო ელვაძიძე

მა. სწორედ ამიტომ, 2014 წელს, ევროკავშირის დახმარებით, შეიქმნა „პედაგოგთა მომზადებისა და კარიერული ზრდის რეგულირების დოკუმენტი“, რომელიც ეროვნულმა პროფესიულმა საბჭომ განიხილა და ჩასწორდა კიდევ მათი მნიშვნელების მიხედვით. დოკუმენტში არის ასახული, თუ რა კვალიფიკაციის უნდა იყოს პროფესიული განათლების მასწავლებელი, როგორ იწყებს პროფესიულ მუშაობას, პროფესიული განვითარების რა შესაძლებლობები აქვს და ა.შ. ამ დოკუმენტის მიხედვით, ჩვენ გვეყოლება სხვადასხვა ტიპის, მაგალითად, დაწყებითი, კოორდინატორი ან მონვეული მასწავლებელი. ეს ბოლო განსაკუთრებული ტიპია მასწავლებლის, რომელიც მუშაობს საწარმოში ან კომპანიაში რომელიმე წამყვან პოზიციაზე და ასწავლის რომელიმე კონკრეტულ მიმართულებას პროფესიული სასწავლებლის სტუდენტებს. დოკუმენტის მიხედვით ასევე დარეგულირდება მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარება და კარიერული წინსვლა.

– რა სიახლეებს გეგმავთ 2016 წელს?

– რთული და საინტერესო იქნება 2016 წელი. პირველ რიგში იმიტომ რომ ვინცებთ ახალ კურსს პროფესიული განათლების პედაგოგებში. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, პროფესიულ პედაგოგებში, სამწუხაროდ, ბევრი არაფერი გაკეთებულა, არც სახელმძღვანელო შექმნილა და არც სისტემური ტრენინგები ჩატარებულა. როგორც გითხარით, პედაგოგებმა გაიარეს პედაგოგის შესავალი რამდენიმე კურსი, მაგრამ ისეთი ტრენინგები, რომელიც დაადასტურებს მათ კომპეტენციას, ზოგადად, პროფესიულ პედაგოგებში, აქამდე არ ყოფილა. მალე გვექნება „პროფესიული განათლების მასწავლებლის პედაგოგიური გზამკვლევის“ პრეზენტაცია, რომელიც ხარისხის განვითარების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრების მონვეული ექსპერტებისა და პროფესიული განათლების პედაგოგთა ჩართულობით შეიქმნა. მის საფუძველზე იქმნება პედაგოგიური კურსი, რომელსაც უფასოდ შევთავაზებთ ყველა მოქმედ მასწავლებელს. აღნიშნული გზამკვლევი შეიქმნა გავრცელების პროფესიული განათლების განვითარების პროექტის მხარდაჭერითა და დაფინანსებით. გაგრძელდება საწარმოში ტრენინგები, მოდულური სწავლების დანერგვისა და ინკლუზიური განათლების ტრენინგები. ვაგრძელებთ მუშაობას ევროკავშირის პროფესიული განათლების მხარდაჭერის პროექტთან ერთად პროფესიული განათლების რეგულირების დოკუმენტზე და საკანონმდებლო პაკეტზე. ჩატარდება მასწავლებელთა გამოკითხვები მათი საჭიროებების დადგენის მიზნით. წელს პირველად ვინცებთ მუშაობას მასწავლებელთა საერთაშორისო მობილობის კონცეფციაზე. ქართულ პედაგოგებს საშუალება მიეცემათ, ევროპის ქვეყნების გამოცდილებას გაეცნონ პროფესიულ განათლებაში. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ საერთაშორისო მასშტაბებზე მიიღებს.

მასწავლებელთა გამოკითხვის თანახმად, დღეისათვის პროფესიული განათლების მასწავლებელთა უმრავლესობის ზედა ასაკობრივი ზღვარი საკმაოდ მაღალია. ახალგაზრდების დაინტერესება კი არც ისე იოლია, პროფესიის დაბალი პრესტიჟის გამო. იმისათვის, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესია მომავალი მასწავლებლებისთვის საინტერესო და მიმზიდველი გახდეს, მათ უნდა მიეცეთ განვითარებისა და კარიერული ზრდის შესაძლებლობები.



პროფესიული განვითარება

ნამყვანილან მენტორაბლა

პირველი გვერდიდან

– ნამყვანი მასწავლებლები სისტემაში ცოტა გვეყავს, მაგრამ ჩვენი სურვილია, რომ უფროსმა მასწავლებლებმა მოკლე ვადაში მოახერხონ სტატუსის შეცვლა და ნამყვანი მასწავლებლის პოზიციაზე გადასვლა.

ნამყვანი მასწავლებელი რეალურად არის მასწავლებელი, რომელიც არა მხოლოდ საკუთარ კლასზე აგებს პასუხს, არამედ შეუძლია გასცდეს საკუთარ კლასს და კათედრაზე კოლეგას გაუწიოს კონსულტირება, მას აქვს კომპეტენციები, რაც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მასწავლებლებისთვის (კარგად ასწავლოს და უკეთ განუვითაროს უნარ-ჩვევები), არამედ მთელი სკოლისათვის. აქტივობებიც, რომლებიც სავალდებულოა ნამყვანი მასწავლებლისთვის, გამოცდილების გაზიარებაზეა ყოველთვის.

– რამდენი კრედიტულა უნდა დააგროვოს ნამყვანმა მასწავლებელმა სტატუსის შესანარჩუნებლად და შემდეგ საფეხურზე გადასასვლელად და რა ვადებში მოუწევს მას ამ აქტივობების განხორციელება?

– ამ შემთხვევაში, ისევე როგორც უფროსი მასწავლებლისთვის, გვაქვს განსხვავებული გზები – შესანარჩუნებლად და წინ ნასასვლელად განსახორციელებელი აქტივობები. სტატუსის შესანარჩუნებლად, ჯამურად, საჭიროა 17 კრედიტულის დაგროვება, აქედან 10 – სავალდებულო აქტივობებიდან, 7 კი – დამატებითი აქტივობებიდან. ხოლო იმისთვის, რომ ნამყვანმა მასწავლებელმა მენტორის სტატუსი მოიპოვოს, უნდა დააგროვოს 25 კრედიტულა – 15 სავალდებულო, ხოლო 10 – დამატებითი აქტივობები.

რასაკვირველია, კრედიტების რაოდენობა, წინა საფეხურებთან შედარებით, მეტია, აქტივობებიც რთულდება და განსხვავებულია. ასევე სტატუსისთვის განსაზღვრული ვადაც შეცვლილია – თუ პრაქტიკოსი და უფროსი მასწავლებლისთვის განკუთვნილია 4 წელი, მათ ვადა კიდევ ერთი წლით ეზრდება და 5 წლის განმავლობაში აქვთ შესაძლებლობა განახორციელონ აქტივობები, შეინარჩუნონ სტატუსი ან დაწინაურდნენ პროფესიაში, ამას კიდევ ემატება საპილოტე წელი თუკი ეს მათ დასჭირდებათ. უფროსი მასწავლებლისგან განსხვავებით, თუკი ნამყვანმა მასწავლებელმა განსაზღვრულ ვადაში ვერ დააგროვა სტატუსის შესანარჩუნებლად დადგენილი კრედიტულები (ანუ 17 კრედიტულა), ჩამოდის უფროსი მასწავლებლის საფეხურზე. უფროსი მასწავლებლის შემთხვევაში, დამატებით ეძლევათ ერთი წელიწადი, რადგანაც ვერც ერთ შემთხვევაში პრაქტიკოსის საფეხურზე ვეღარ ჩამოინაცვლებენ, რადგან, მოგეხსენებათ, რომ პრაქტიკოსის სტატუსი, ამ დროისთვის, აღარ იქნება.

– რა სავალდებულო აქტივობების განხორციელება საჭიროა ნამყვან მასწავლებელს?

– ერთ-ერთი მთავარია და ყველაზე ხშირად გასაკეთებელი აქტივობა სამოდელო გაკვეთილის ჩატარებაა. სამოდელო გაკვეთილი, ზოგადად, ჩვენი საგანმანათლებლო სისტემისთვის დიდი სიახლე არ არის, რადგან, ხშირ შემთხვევაში, ასეთ გაკვეთილებს მასწავლებლები ატარებდნენ.

სამოდელო გაკვეთილის მთავარი მიზანია, სკოლაში ჩამოყალიბდეს გამცდილების გაზიარების კულტურა და უფრო გამოცდილმა მასწავლებელმა თავისი საუკეთესო პრაქტიკა სხვა მასწავლებლებს გაუზიაროს.

განისაზღვრა სამოდელო გაკვეთილის ოთხი ტიპი, მათ შორის, ერთ-ერთი ინტეგრირებული გაკვეთილია, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვიდან მოყოლებული მნიშვნელოვან გაკვეთილად მიიჩნევა – მოსწავლე შეძენილ ცოდნასა და უნარებს ერთ საგნისთვის არ იძენს. საჭიროა, რომ მან შეძლოს ცოდნის და უნარ-ჩვევების სხვაგან გამოყენება – ის მხოლოდ ამ საგანში ნიშნის მისაღებად არ სწავლობს, შესაბამისად, ინტეგრაცია სწორედ ცოდნის ტრანსფერს, ანუ გადატანას უწყობს ხელს – ეს ასევე იძლევა საშუალებას, რომ მოსწავლემ თემები და უნარები ერთმანეთთან დააკავშიროს და შემდგომ უკვე რეალურ ცხოვრებაშიც შეძლოს მათი გამოყენება. ამდენად, ერთ-ერთი სამოდელო გაკვეთილის ტიპი, რომელიც მასწავლებელმა შეიძლება ჩაატაროს, ინტეგრირებული გაკვეთილია.

სამოდელო გაკვეთილის მეორე ტიპი გამჭოლი კომპეტენციების განვითარების კენტი მთავარი გაკვეთილია. 2011-16 წლის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, გამჭოლი კომპეტენციების განვითარება ყველა მასწავლებლისთვის სავალდებულოა. სულ 9 გამჭოლი კომპეტენცია გამოიყოფა, თუმცა, მასწავლებელთა უმრავლესობა ამას ნაკლებ ყურადღებას უთმობდა. პედაგოგები იმ გამჭოლი კომპეტენციებს ავითარებდნენ, რომლებიც ორგანულად ერწყმოდა მათ საგანს. მაგალითად, ბუნებისმეტყველება და გეოგრაფია ეკონიგნიერებას მეტად აქცევდა ყურადღებას; მათემატიკა – რაოდენობრივი წიგნიერების განვითარებას, ქართული და უცხო ენები წიგნიერების განვითარებას უწყობდნენ ხელს. ამდენად, არც გამჭოლი კომპეტენციების დანერგვა იქნება სიახლე, ეს ერთგვარი სტიმულია, რომ მასწავლებელმა მათ განვითარებას მიაქციოს ყურადღება. სწორედ ამ მიზნით ჩაიდო სამოდელო გაკვეთილის ერთ-ერთ ტიპად გამჭოლი კომპეტენციების განვითარების კენტი მთავარი გაკვეთილი.

შესაძებ ტიპის სამოდელო გაკვეთილი ინოვაციების, სიახლეების დანერგვაა. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სიახლე, ასევე, მაგალითად, ის აღმოჩენები, რასაც ასე მრავლად აქვს ადგილი მსოფლიოში თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ. მეთოდოლოგიური სიახლეების დანერგვაც

ინოვაციური გაკვეთილის ტიპში გადის. შესაბამისად, ნამყვანი მასწავლებლის ვალდებულებაა, მოსწავლეებსაც მიანოდოს ეს სიახლეები მათთვის გასაგებ ენაზე და, ამავდროულად, სხვა მასწავლებლებსაც გაუზიაროს გამოცდილება.

მეოთხე ტიპის სამოდელო გაკვეთილი – პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება, ძალიან საინტერესო ფორმატია – მასწავლებელი ღიად სვამს გარკვეული ტიპის პრობლემას, რომელიც მოსწავლეებისთვის არც ძალიან ნაცნობია და, ამავდროულად, არც იმდენად რთული, რომ ვერ მოახერხონ მისი გადაჭრა. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ის, რომ მოსწავლეებს პრობლემის გადაჭრის უნარები განუვითარდეთ. შესაბამისად, ამ ტიპის აქტივობა პრობლემაზე ორიენტირებული სწავლებაა და ის მასწავლებელს შეიძლება სამოდელო გაკვეთილში ჩათვალოს.

ამდენად, სამოდელო გაკვეთილების ტიპები განსაზღვრულია და უფრო დეტალურად, თუ როგორ უნდა დაგეგმონ ასეთი გაკვეთილი და რა რუბრიკებით შეფასდება იგი, ამ კვირაში გახდება ცნობილი მასწავლებლებისთვის, რის შემდეგაც მათ სამოდელო გაკვეთილების ჩატარების შესაძლებლობა ექნებათ. სამოდელო გაკვეთილს შეფასების ჯგუფი და კათედრის წარმომადგენლები ესწრებიან.

ნამყვანმა მასწავლებელმა, 5 წლის განმავლობაში, 10 სამოდელო გაკვეთილი უნდა ჩაატაროს იმისთვის, რომ მენტორის სტატუსი მიიღოს, ხოლო ნამყვანის სტატუსის შესანარჩუნებლად 5 სამოდელო გაკვეთილის ჩატარებაა საკმარისი.

ერთ-ერთი სავალდებულო აქტივობაა სკოლის საჭიროებების კვლევა. ადრე აღვნიშნავდით, რომ მასწავლებლისთვის აუცილებელი იყო საკუთარი პრაქტიკის კვლევა. ამ შემთხვევაში კი ვამბობთ, იქიდან გამომდინარე, რომ სკოლაში სხვადასხვა ტიპის საჭიროებები დგება, აუცილებელია მასწავლებელმა, რომელსაც უფრო მაღალი სტატუსი აქვს, განახორციელოს სკოლის საჭიროებების კვლევა. მაგალითად, რამდენად მოსწავლეების განვითარებაზე ორიენტირებული ან რამდენად ობიექტურია სკოლაში შეფასების სისტემა, – გამოიკვიროს, რამდენად ეხმარება მოსწავლეებს განმავითარებელი შეფასებები სკოლაში; მასწავლებლებს რა ნაწილი ართმევს უკეთ თავს, რა ნაწილი – ნაკლებად; ან აღნიშნავს თუ არა ერთი და იგივე ქულა, პარალელურ განყოფილებაში, ბავშვების ერთი და იმავე ცოდნას და უნარ-ჩვევებს. ამდენად, საჭიროა დამატებითი ღონისძიებების განხორციელება, კვლევების ჩატარება, რომლის შედეგადაც, მაგალითად, გაუშვებოდა ის რუბრიკები, რომელსაც მასწავლებლები იყენებენ და ა.შ. ან დადგინდება მასწავლებლების საჭიროებები და გაიცემა რეკომენდაციები ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად. გარდა ამისა, სკოლაში შეიძლება აღმოჩნდეს კიდევ სხვა ტიპის საჭიროებები, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ინკლუზიური განათლების უკეთ დანერგვა სკოლაში. შესაბამისად, ნამყვანი მასწავლებელი ვალდებულია, განახორციელოს იმ ტიპის კვლევები, რომელიც სკოლას განვითარებაში დაეხმარება.

ნამყვანი მასწავლებლისთვის ასევე ვალდებულებად იქცა (რადგან უკვე გამოცდილება არიან და გარკვეული პრაქტიკა აქვთ) სხვა მასწავლებლებისათვის გამოცდილების გაზიარება. ამ ტიპის აქტივობად განისაზღვრა სასწავლო რესურსის ან რეცენზირებული პროფესიული ლიტერატურის მომზადება. ამ აქტივობას ჰქვია, „სასწავლო რესურსების მომზადება ან რეცენზირებული პროფესიული ლიტერატურის შექმნა“. ეს შეიძლება იყოს სტატია, მეთოდური ლიტერატურა, სახელმძღვანელო, ანუ მასწავლებელმა შეიძლება მოამზადოს განსხვავებული ტიპის რესურსი და, შესაბამისად, განსხვავებული იქნება კრედიტების რაოდენობაც.

მთლიანობაში, მენტორის სტატუსის მძიებელმა მასწავლებელმა, ძირითად სავალდებულო აქტივობებში სტატუსისთვის განსაზღვრული საერთო 25 კრედიტულიდან, 15 კრედიტულა უნდა მოიპოვოს, ხოლო შესანარჩუნებლად – 17-დან 9.

სავალდებულო აქტივობების და მისანიჭებელი კრედიტულების მოკლე ჩამონათვალი ასეთია:

- 1) სამოდელო გაკვეთილი – 1 კრედიტულა – ჯამურად შენარჩუნებისათვის საერთო 25 კრედიტულიდან – 10;
- 2) სკოლის საჭიროებების კვლევა – 2 კრედიტულა;
- 3) რესურსების მომზადება – 1-დან 6 კრედიტულამდე.

არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ნამყვანი მასწავლებელი, ისევე როგორც დანარჩენი სტატუსის მქონე მასწავლებლები, ყოველწლიურად, ავსებს თვითშეფასების კითხვარს და ადგენს ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმას. ყველაფერი ეს სავალდებულოა, მაგრამ, როგორც უკვე ცნობილია, არცერთი მათგანი კრედიტულის მომტანი არ არის.

– ეს, რაც შეეხება სავალდებულო აქტივობებს. კიდევ რა დამატებითი აქტივობები შეუძლიათ მასწავლებლებს კრედიტულების დაგროვება?

– დანარჩენი აქტივობების ჩამონათვალი მრავალფეროვანია, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს შეფასების ჯგუფის წევრობა. მოგეხსენებათ, რომ შეფასების ჯგუფის წევრობისთვის და განსაკუთრებით ფასილიტატორებისთვის წინასწარ განისაზღვრა, რა ტიპის კომპეტენციებს უნდა ფლობდეს მასწავლებელი როგორც პროფესიულ, ისე პიროვნულ. შესაბამისად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ მაღალი სტატუსის მქონე მასწავლებელი ბევრად უფრო იმსახურებს შეფასების ჯგუფში ყოფნას, საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, ვიდრე სხვა მასწავლებლები. შეფასების ჯგუფის წევრობა – ფასილიტატორობა – სამი წლის განმავლობაში ფასდება 3 კრედიტულით (ვინაიდან ფასილიტატორი 3 წლით ირჩევა), ხოლო კათედრის წარმომადგენლის შეფასების ჯგუფში ყოფნა 1 კრედიტულის მომტანია. ამავდროულად, შესაძლებელია, მასწავლებელი სხვადასხვა ტიპის ღონისძიების მონაწილე იყოს, რადგან მას უკვე შეუძლია სხვა მასწავლებლებსაც გაუზიაროს საკუთარი გა-



მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის კონსულტანტი მანანა რატიანი

მოცდილება პროფესიული ლიტერატურის შექმნით. ამასთანავე, ისევე როგორც სხვა დანარჩენ პედაგოგებს, მას შეუძლია, კონფერენციებსა და ტრენინგებში მონაწილეობა და ამით კრედიტულების მოპოვება. კონფერენციებში მონაწილეობა 1 კრედიტულით ფასდება, ტრენინგში მონაწილეობა კი, სატრენინგო საათებიდან გამომდინარე, 25 საათი – 1 კრედიტულა.

ასევე, 1 კრედიტულის მომტანია სტაჟირება, პრაქტიკის ხელმძღვანელობა. მოგეხსენებათ, რომ საუნივერსიტეტო განათლებაში მასწავლებლის მომზადების პროგრამის კონცეფცია შეიცვალა და ძალიან დიდი როლი ენიჭება სტუდენტის პრაქტიკას. ნამყვან მასწავლებელს შესაძლებლობა ექნება, უხელმძღვანელოს სტუდენტის პრაქტიკას – მხარი დაუჭიროს და დაეხმაროს მას გაკვეთილების დაგეგმვაში, ასევე დაინსწროს გაკვეთილზე და მასთან ერთად იმუშაოს, რომ სტუდენტმა შეიძინოს ის საჭირო უნარები, რაც პედაგოგისთვის აუცილებელია. ამ დამატებით აქტივობაში მასწავლებელი 2 კრედიტულას მიიღებს.

მასწავლებელს, ტრენინგ-მოდულის შექმნა კრედიტულას მოუტანს. აკრედიტებული ტრენინგ-მოდულის ავტორობა 2 კრედიტულით ფასდება. კრედიტულების დაგროვება შესაძლებელია სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში მონაწილეობითაც, რომელთა შეფასება 1-დან 4 კრედიტულამდეა. პროგრამების ჩამონათვალი, რაც მასწავლებლებს კრედიტულებს მოუტანს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ არის ბრძანებით განსაზღვრული.

ეს ის დამატებითი აქტივობებია, რომელიც ნამყვანმა მასწავლებელმა უნდა განახორციელოს.

– 25 დეკემბერს დასრულდა 2011-2015 წლებში სქემაში ჩართული მასწავლებლებისთვის კრედიტულების მინიჭების პროცესი. შედეგები, გარკვეულწილად, დაეხმარება პედაგოგებს დაგეგმონ და განსაზღვრონ მომდევნო აქტივობები. როგორია სურათი, უნდა ველოდოთ თუ არა ცვლილებებს, ამ შემთხვევაში, ნამყვანი მასწავლებლის საფეხურზე და როდის?

– მასწავლებლებს, ძველი სქემის ფარგლებში მოპოვებული კრედიტულებით, შეეცნოთ დამატებითი კრედიტულების წილი, ეს მათ სრულად ან ნაწილობრივ მოახერხეს. მათ კვლავ განსახორციელებელი რჩებათ სავალდებულო/ძირითადი აქტივობები. მას შემდეგ, რაც გამოცხადდა შეფასებები, თუ რამდენი კრედიტულა დააგროვეს პედაგოგებმა გასულ წლებში განხორციელებული აქტივობებით, მასწავლებლებს უკვე კონკრეტულად შეუძლიათ განსაზღვრონ, რამდენი კრედიტულა დარჩათ დასაგროვებელი დამატებით აქტივობებში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სწორედ ნამყვანი მასწავლებლების ეს კატეგორია შეიძლება იყოს იმით შორის, ვინც პირველი მენტორი გახდება. ეს კი 2016-2017 სასწავლო წლის ბოლოს შეიძლება მოხდეს. ამავე პერიოდში, ჩვენ ველოდებით სქემის ფარგლებში ახალ ნამყვან მასწავლებლებს, რომლებიც უფროსი მასწავლებლის კატეგორიიდან გადაინაცვლებენ.

შეფასების ჯგუფი, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, შეაფასებს ყველა იმ აქტივობას, რომელიც პედაგოგთა პროფესიულ საქალაქში იქნება, შესაბამისად, 2017 წლის სექტემბერში, შესაძლებელია, მასწავლებელს უკვე სხვა სტატუსი ჰქონდეს. აქვე კიდევ ერთხელ განვმარტავ ერთ დეტალს – საფეხურებზე მასწავლებლების განაწილებისას სერტიფიცირებული დოქტორის ხარისხის მქონე მასწავლებელს მივანიჭებ ნამყვანის სტატუსს და არასწორი ინტერპრეტაციის გამო მიიჩნია, რომ ნამყვანი მასწავლებელი მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება მასწავლებელი, თუკი დისერტაციას დაიცავს, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. ნებისმიერ პრაქტიკოს მასწავლებელს, რომელიც მისი სტატუსისთვის განსაზღვრულ აქტივობებს გაივლის, დააგროვებს შესაბამის კრედიტულებს და გადავა უფროსი მასწავლებლის საფეხურზე, შემდგომში შეუძლია ნამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად იმუშაოს. თუმცა, თუკი ის დოქტორის ხარისხსაც დაიცავს, ამას რა სჯობს, უფრო მარტივი გზით ნავა დასაწინაურებლად.



გავრცობა უფლებები

დეინსტიტუციონალიზაციის ახალი ეტაპი

ლალი ჯალაძე

ბავშვთა სახლების დეინსტიტუციონალიზაციის ახალი ეტაპი იწყება. ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოსა და გაეროს ბავშვთა ფონდის შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის მიხედვით, ნუცუბიდის ქუჩაზე მდებარე ჩვილ ბავშვთა სახლი და კოჯრის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სახლი ეტაპობრივად გაუქმდება. ამ სახლების ბენეფიციარები კი, ალტერნატიულ, მცირე ზომის საოჯახო სახლებში განთავსდებიან.

„მცირე ზომის ბავშვთა სახლები შესაძლებლობას იძლევა, რომ ბავშვებს, გარდა ელემენტარული მოთხოვნებისა, როგორც არის კვება, სითბო და უსაფრთხოება, დაუკმაყოფილებდეთ ის მოთხოვნები, რაც მაქსიმალურად უზრუნველყოფს ოჯახურ გარემოსთან მიახლოებას,“ – აცხადებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო.

ინიციატივა მხარდაჭერილია ამერიკის მთავრობის განვითარების სააგენტოს მიერ. იუნისეფის დახმარებით შეიქმნება მცირე ზომის ოჯახური ტიპის მომსახურების მოდელი, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელი გახდება დარჩენილი დიდი ზომის ბავშვთა სახლებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ოჯახურ გარემოში გადაყვანა. მომსახურება შექმნის შესაძლებლობას, რომ უფრო მეტად იქნეს გათვალისწინებული ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები და მოხდეს მისი განვითარების და სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა.

მემორანდუმის ფარგლებში, იმ ორი დიდი ზომის ინსტიტუციის ნაცვლად (ნუცუბიდის ქუჩაზე მდებარე ჩვილ ბავშვთა სახლი და კოჯრის შშმ ბავშვთა სახლის ბენეფიციარებისთვის), მზრუნველობამოკლებული მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის, ალტერნატიული, მცირე ზომის მომსახურებები უნდა შეიქმნას. აღნიშნული სერვისის მიახლოებული იქნება ოჯახურ გარემოსთან, ამასთან, მაქსიმალურად შეუწყობს ხელს აღსაზრდელთა ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილებასა და მხარდა შესაძლებლობების განვითარებას.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ნუცუბიდის ქუჩაზე მდებარე ჩვილ ბავშვთა სახლში მცხოვრები ბავშვების შეფასება მულტიდისციპლინური გუნდის – პედიატრები, ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები, ოკუპაციური თერაპევტები – მიერ. ისინი ბავშვების საჭიროებებს ინდივიდუალურად სწავლობენ, რათა მათთვის მაქსიმალურად გამართული და ადაპტირებული სერვისები შეიქმნას. სახელმწიფო ამ პროცესში აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო სექტორთან.

„პრინციპულია, რომ ბავშვების რაოდენობა ბევრი არ იყოს. საჭიროა მათი დაყვანა 6-8 ბავშვამდე, სადაც უკვე აღმზრდელს საშუალება ექნებათ, ინდივიდუალურად, თითოეულ აღსაზრდელზე იზრუნონ. ეს პროცესი დღემდე მიმდინარეობდა იმ ბავშვებში, რომლებსაც არ ჰქონდათ ჯანმრთელობის პრობლემები ან შეზღუდული შესაძლებლობები. დღეიდან დაიწყება ახალი ეტაპი და დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი გავრცელდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებზეც. ვფიქრობ, ეს მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება როგორც მათი უფლებების დასაცავად, ისე მათი სწორი აღზრდისათვის,“ – აღნიშნავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო.

საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის, **სამა გრაუმანის** განცხადებით, საქართველოს მნიშვნელოვანი პროგრესი აქვს ბავშვთა ზრუნვის სერვისების მიმართულებით. მისი აზრით, აუცილებელია ყველა ბავშვისთვის არსებობდეს ოჯახური და კეთილგანწყობილი გარემო. „იუნისეფი მხარს უჭერს სახელმწიფოს ამ დიდ ნაბიჯებს და სერვისების დახვეწისთვის სხვადასხვა ღონისძიებაში ჩართვას გეგმავს, იქნება ეს ტრენინგები თუ სხვა სახის დახმარება. პროცესში დიდი გამოწვევები იქნება, თუმცა ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ამ ბავშვებმა მიიღონ ხარისხიანი განათლება და ყველაფერი, რაც სრულყოფილი ცხოვრებისთვის საჭიროება“ – აცხადებს სამა გრაუმანი.

მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის უფროსი **მარი წერეთელი** ამ მემორანდუმს ძალიან მნიშვნელოვანად მიიჩნევს და აცხადებს, რომ ის შესაძლებლობას მისცემს, სასარგებლო და საჭირო პროცესები დაიძარას: „ქვეყანაში უკვე რამდენიმე წელია აქტიურად მიმდინარეობს დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი, რომელიც დიდი ბავშვთა სახლების დახურვას და იქ მცხოვრები ბავშვებისთვის ალტერნატიული სერვისის შეთავაზებას გულისხმობს, იქნება ეს ოჯახური ტიპის სახლები თუ მინდობით აღზრდა. ინდივიდუალურად მოხდა ბავშვთა სახლებში მცხოვრები თითოეული ბავშვის შეფასება და მისი საჭიროებების განსაზღვრა. პროცესის მიღმა დარჩა ქვეყანაში რეგისტრირებული ორი დიდი ბავშვთა სახლი – ნუცუბიდის ჩვილ ბავშვთა და კოჯრის –

რომლის ბენეფიციარებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (მძიმე შეზღუდვების მქონე) ბავშვები არიან. მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებში და მინდობით აღზრდაშიც ჩვენ გვყავს შშმ ბავშვები, მაგრამ დღეს ვსაუბრობთ იმ კატეგორიის ბავშვებზე, რომლებსაც აუცილებლად საჭიროებათ სამედიცინო მომსახურება, ანუ უფრო აქტიური სამედიცინო ჩარევა. თავისთავად, ასეთ ბავშვებს სპეციფიკური ტიპის მცირე ზომის ბავშვთა სახლები საჭიროებათ. იუნისეფის დახმარებით, ამ თემაზე მუშაობა დაიწყო და როგორც ხედავთ, მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც ამ ორი ბავშვთა სახლის დეინსტიტუციონალიზაციას გულისხმობს, ანუ მოხდება ამ ბავშვებისთვის ალტერნატიული ზრუნვის ფორმის განვითარება. თუმცა, როგორც ვთხარით, ეს არ იქნება ისეთი მცირე საოჯახო ტიპის სახლი, როგორც გვაქვს, არამედ – განსხვავებული, ასე ვთქვათ მიქსი – სამედიცინო მომსახურება და, რასაკვირველია, პირველ რიგში, ზრუნვა. პროცესის დასაწყებად, აუცილებელია, განისაზღვროს თითოეული ბავშვის საჭიროება. სწორედ ამ მიზნით კიდევ ერთხელ დაიწყეთ მათი შეფასება, რაშიც არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ბავშვები“ გვეხმარება, ჩართულები არიან არაოკუპაციური თერაპევტები და ფსიქოლოგები. ჩვენი მიზანია, ამ ბავშვებს მაქსიმალურად მოუხსნათ შეზღუდვები და მოვახდინოთ მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია. რასაკვირველია, თუკი ამის შესაძლებლობას თავად ბავშვების მდგომარეობა მოგვცემს. ვეცდებით, მათი ინკლუზია საზოგადოებასთან, სოციალურად და განათლებაში მაქსიმალურად იყოს მიღებული.“

დღეის მონაცემებით, კოჯრის ბავშვთა სახლსა და ნუცუბიდის ქუჩაზე მდებარე ჩვილ ბავშვთა სახლში 84 აღსაზრდელია. მათთვის ალტერნატიული ზრუნვის ფორმა უკვე განსაზღვრულია – მცირე საოჯახო ტიპის სახლი, რომელიც განსხვავებული იქნება სხვა დანარჩენი საოჯახო ტიპის სახლებისგან, რადგან მას სამედიცინო კომპონენტი დაემატება.

რეალურად როდის ამოქმედდება ამ ბავშვებისთვის ალტერნატიული ზრუნვის სერვისი, ამ კითხვაზე მარი წერეთელი პასუხობს, რომ, სავარაუდოდ, წლის ბოლოს გაიხსნება პირველი მცირე ზომის ოჯახური ტიპის ბავშვთა სახლი ნუცუბიდის ჩვილ ბავშვთა სახლის 6 აღსაზრდელისთვის. დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი კი ეტაპობრივად გაგრძელდება და სამომავლოდ ორივე ბავშვთა სახლის ყველა აღსაზრდელი მიიღებს ალტერნატიული ზრუნვის სერვისებს.

სასკოლო აქტივობა

დავეუფლოთ „სიბრძნის ბუს“

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრამ 2015 წლის 25 დეკემბერს, კიდევ ერთი დაუვიწყარი დღე ჩაწერა სკოლა „თამარიონის“ ისტორიაში.

ამ პროექტმა მოსწავლეებს მოტივაცია აუმაღლა, ისინი მაქსიმალურად ცდილობენ, სიღრმისეულად დაეუფლონ საბუნებისმეტყველო საგნებს, რათა მოხვდნენ „რა? სად? როდის?“ საფინალო თამაშებში.

2015 წლის სეზონის საუკეთესო მოაზროვნისა და მაგისტრის საპატიო წოდების მოსაპოვებლად ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ: **თორნიკე ჩოგოვადის (ირაკლი ხუციძე, ანი ბარბაქაძე, ნიკა ჭელიძე, ბახვა დავლაშვილი, გიორგი ტარზიანი); ავთო ქისიშვილის (მარიამ გოგალაძე, ლევან მოდებაძე, გიორგი ყარეგიშვილი, ბაჩყალი დალაქიშვილი, გიორგი ქეგანაშვილი); გურამ აბულაშვილის (გიორგი ავალიანი, მარი მეიფარიანი, ლიკა ცეკვაძე, მიშო მარგოშვილი, დიტო კობრეიძე); ნიკა ზაქაიძის (ბესო მეკინულოვი, ლუკა აწყვერელი, ბაჩანა კაპანაძე, მალხაზ ფეიქრიშვილი, ეკა მარკოზია); ჯონი ფავლენიშვილის (გიორგი კუჭავა, ნინო ბაკაშვილი, დათო ვერულაშვილი, ვიკა ბახტურიძე, მირანდა მალუტაშვილი); ნატა საჩალელის (რეზი ამირანაშვილი, ლუკა მარაული, ეკა მაჭარაშვილი, ლექსო გიორგობიანი, ანი ნადარეიშვილი); ვაკო ხმაღაძის (ლევან ამირანაშვილი, ამირან ჯიმშერაშვილი, საბა ვეფხვაძე, საბა ხიზანიშვილი, დანი ცუცქერიძე) მოაზროვნეთა გუნდები.**

ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თორნიკე ჩოგოვადის და ავთო ქისიშვილის გუნდები. ფინალში თამაშის უფლება თორნიკე ჩოგოვადის ექვსეულმა მოიპოვა. 2015 წლის სეზონის ფინალურ ინტელექტუალურ შერკინებაში გარდამავალი პრიზის – „სიბრძნის ბუს“ – მოსაპოვებლად ერთმანეთს დაუპირისპირდნენ **თორნიკე ჩოგოვადის** და 2014 წლის გამარჯვებული **ვოვა ციციშვილის** ექვსეულები.

ინტელექტუალებისათვის საინტერესო კითხვები შეადგინეს პედაგოგებმა: **ნონა კაპანაძე (ფიზიკოსი), ლია მამადაშვილმა (ქიმიკოსი), ნინო მოლაშხიამ (ქიმიკოსი), მაია ძმანაშვილმა (ბიოლოგი), ნინო ხუდიაშვილმა (სამედიცინო ბიოლოგიის), კურსდამთავრებულებმა: ნინო რურუამ, თაკო ზაქაიძემ და დარბაზის საპატიო სტუმარმა ქეთევან საბუღაძემ.**

„ყურადღება! დღეს პარასკევია, 2015 წლის 25 დეკემბერი და ჩვენ ვინცებთ ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“

ფინალს!“ – აცხადებს ნამყვანი, XII კლასის მოსწავლე **თორნიკე ყაფლანიშვილი.**


„დღეს ჩვენ უნდა გამოვავლინოთ სკოლა „თამარიონის“ 2015 წლის მოაზროვნეთა ექვსეული და დავესახელოთ წლის მაგისტრი,“ – აგრძელებს თანაწამყვანი, XI კლასის მოსწავლე **მარიამ გოგალაძე.**

დარბაზში აჟღერებული ჰიმნი, აფრიალებული დროშა, საპატიო დერეფანი, ფერად-ფერადი შუშუნები, დიპლომები, საჩუქრები, ლამაზი ტორტი და მუსიკალური ნომრები, „ტრობიკული პაუზა“ ამაღლებულ განწყობას უქმნის მოაზროვნეებს...

2014 წლის მოაზროვნეებმა გარდამავალი პრიზი „სიბრძნის ბუს“ საზეიმო ვითარებაში გადასცეს თორნიკე ჩოგოვადის ექვსეულს.

ინტელექტუალურ თამაშს ესწრებოდნენ სკოლის კურსდამთავრებულები, 2014 წლის მოაზროვნეები: **თაკო ზაქაიძე, მარიამ ავალიანი, შაკო აბულაძე, შაკო ჭალიძე** და მაგისტრი **საბა სანთაბული.**

სკოლის დირექციამ დააჯილდოვა: 2015 წლის „საუკეთესო თამარიონის“ წოდების მფლობელი **რატი კობახიძე**, სკოლა თამარიონის 2015 წლის „საუკეთესო ინტელექტუალი“ და 2015 წლის ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ მაგისტრი **თორნიკე**



ჩოგოვადი; 2015 წლის „საუკეთესო მოაზროვნეები“: ირაკლი ხუციძე, ანი ბარბაქაძე, ბახვა დავლაშვილი, ნიკა ჭელიძე, გიორგი ტარზიანი.



თქვენ ჩვენი სკოლის საამაყო სახეები ხართ. გვჯერა, რომ მომავალი წარმატებები წინ გაქვთ, იქნებით ჩვენი ქვეყნის ღირსეული მოქალაქეები, მოიპოვებთ მრავალ გამარჯვებას ქვეყნის შიგნით თუ გარეთ. დაე, ბევრჯერ ახშიანებულიყო ჰიმნი და აფრიალებულიყო დროშა „თამარიონის“ სკოლის მოსწავლეთა გამარჯვების დასტურად!

კათედრის წევრებმა მაღლობა გადაუხადეს სკოლის დირექტორს, **გულიკო კვიციანი**, ფინანსურ დირექტორს, **ინგა ამირანაშვილს**, დირექტორის მოადგილეებს: **ქეთევან საბუღაძეს და თათია გურგენიძეს**; მოსწავლეებს: **თამარ ზაკალაშვილს, ლანა საბურზანიას და გიგა დემეტრაშვილს** ორიგინალური მუსიკალური ნომრის შესრულებისთვის და ყველა იმ მონაწილეს, ვინც თავი გამოიჩინა 2015 წლის სეზონის ინტელექტუალურ თამაშებში.

**ნინო მოლაშხია**  
თბილისის სკოლა „თამარიონის“  
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა  
კათედრის თავმჯდომარე



# „ზღაპრები და ლებენლები ბებიას სკივრიდან“

## გახდი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგი!

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ საფუძველი ჩაუყარა უფროსკლასელთა კონკურსს სახელწოდებით „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგი“. წელს კონკურსი მეოთხედ იღებს სტარტს. თავად მიმართულების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ყოველწლიურად იცვლება კონკურსის თემატიკა. პირველად, 2012 წელს, კონკურსი ზოგად, გაცნობით ხასიათს ატარებდა. მომდევნო ორი წლის განმავლობაში კონკურსმა კონკრეტული ამოცანები დაისახა თემებით: „ტრადიციული ხელსაქმე და ხელოსნობა“ და „გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების ტრადიციები საქართველოში“.

წელს საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების უფროსკლასელებს ვთავაზობთ კონკურსს თემაზე „ზღაპრები და ლებენლები ბებიას სკივრიდან“.

### კონკურსის მიზანია:

- გამოავლინოს უზუცესების მცხსიერებაში შემონახული სხვადასხვა კუთხის უძველესი ზღაპრები და ლებენები, ზეპირსიტყვიერების სხვა ნიმუშები;
- გაზარდოს საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდების, ინტერესი მათი კუთხის არამატერიალური მემკვიდრეობის მიმართ;
- ჩართოს საქართველოს ახალი თაობა არამატერიალური მემკვიდრეობის ნიმუშების მოძიებასა და ფიქსაციაში;
- გაუღვივოს მათ ინტერესი წინაპრების კულტურისა და შემოქმედებისადმი.

### კონკურსი მოახდინებს ორ ტურად: პირველი ტური

გულისხმობს სკოლაში მოსწავლეთა ნამუშევრების პირველად სელექციას, რომელიც, სკოლის ადმინისტრაციის მიერ, საკონკურსო პირობების ყველა ნორმის დაცვით იქნება შერჩეული და გადმოგზავნილი მითითებულ ელმისამართზე (იხ. საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა), საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ხელმძღვანელობამ თავად უნდა გაუწიოს მოსწავლეს ტექნიკური დახმარება.

### მეორე ტური უნდა მოიცავდეს:

1. ფორდის ფაილში დანერგული საკონკურსო ნამუშევარს;
2. მოსწავლეთა მიერ მოთხრობილი ამბის მიხედვით ცალკე შესრულებულ (დახატული, გამოძერწილი, კონსტრუირებული და სხვ.) ილუსტრაციებს და მათი მაღალი ხარისხით გადაღებულ ფოტოებს (რაოდენობა შეზღუდული არ არის). ფოტოები უნდა გადმოგზავნოს ფორდის ფაილში შესრულებულ ნაწილთან ერთად jpg ფორმატში;
3. ელემენტზე მუშაობის ამსახველი ფოტომასალა, გადმოგზავნილი ასევე jpg ფორმატით;
4. ფორდის ფაილში დანერგული ნაშრომი გაფორმებული უნდა

იყოს მონაწილის მიერ შესრულებული ილუსტრაციების ფოტოებით, რათა ნამუშევრების გადარჩევისას კომისიის წევრებს გაუადვილდეთ მათი შეფასება.

სასურველია ნიმუში ჩაინეროს თქვენი რეგიონის (სოფლის, ქალაქის, ქუჩის, უბნის, ოჯახის, და ა.შ.) მკვიდრი მოსახლისაგან.

სასურველია მოძიებული და ჩანერილი ნიმუში ფართე საზოგადოებისთვის ნაკლებად იყოს ცნობილი.

სკოლის შიდა შერჩევის შედეგად შერჩეული საუკეთესო ერთი ან რამდენიმე ნიმუში სკოლამ უნდა გადმოგზავნოს:

- ✦ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ელფოსტაზე [aramaterialuri@yahoo.com](mailto:aramaterialuri@yahoo.com),
- ✦ ან გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციაში,
- ✦ ან მოგვანოდოს ფოსტით – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, მისამართზე: თბილისი, 0105, თაბუკაშვილის ქ. 5.

საინტერესო ნაშრომების ავტორები მონაწილეობას მიიღებენ მეორე ტურში.

### მეორე ტური

მეორე ტურში გადასული მოსწავლენი, კონკურსის ორგანიზატორების შენიშვნების გათვალისწინებით, ჩაასწორებენ ნიმუშებს და ხელახლა გადმოგზავნიან კონკურსის გამარჯვებულის გამოსავლენად.

გამარჯვებული ნიმუშების მიხედვით შედგება ილუსტრირებული კრებული, რომელიც გამოიცემა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ და საჩუქრად გადაეცემათ ავტორებსა და კონკურსში მონაწილე სკოლებს, ასევე სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს.

გამარჯვებული ავტორი (სკოლა, მასწავლებელი, მოსწავლე), საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დაჯილდოვდება საგანგებო სიგელით და მიიღებს „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგის“ წოდებას. ნამუშევრები გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი განათლებაში“. გაუქმდება მასმედიით.

### საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა:

1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – დასახელება;
2. იდეის ავტორი – სახელი, გვარი;
3. ხელმძღვანელი პედაგოგი – სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელმისამართი);
4. ქალაქი (რაიონი, სოფელი) და სკოლის სრული დასახელება;
5. სკოლის დირექტორი – სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელმისამართი);
6. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის სხვა დასახელება (რამდენიმე დასახელების შემთხვევაში, მითითებულ ყველა სათაური და დაურთეთ კომენტარი);
7. ნიმუშის აღწერა.

### ინფორმაცია

## ახალი ინიციატივა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, დასაქმების სერვისის დახმარება და ინსტიტუტის შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობისთვის სოციალური მომსახურების სააგენტოში ახალი სამსახური შექმნა. ეს არის საქართველოში პირველი სისტემური მიდგომა შშმ და სსსმ პირთა დასაქმებისათვის. პროექტი საზოგადოებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ ქეთევან ნატრაშვილმა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ ზაზა სოფრომაძემ წარუდგინეს.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს გასაუბრება 11 ადამიანის შესარჩევად (1 მხარდაჭერითი დასაქმების კოორდინატორი და 10 მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტი), რომლებიც შშმ და სსსმ პირებს პოტენციურ დამსაქმებლებს დააკავშირებენ და დასაქმებაში დაეხმარებიან.

ინიციატივას წინ დიდი სამუშაო უძღოდა – შემუშავდა მხარდაჭერით დასაქმების კოორდინატორისა და კონსულტანტის სამუშაო აღწერილობები, ითარგმნა ევროკავშირის მხარდაჭერით დასაქმების ინსტრუმენტი. ახალი ინიციატივის თითოეულ ნაბიჯზე ქართულ მხარეს კონსულტაციას უწევდა მხარდაჭერითი დასაქმების ექსპერტი და საერთაშორისო კონსულტანტი, რომელიც ასევე აქტიურადაა ჩართული მიმდინარე გასაუბრებების პროცესში.

პროფესიული განათლების სისტემაში ინკლუზიური განათლების დახმარება 2013 წელს დაიწყო. შედეგად, 2013 წლიდან 2015 წლის ჩათვლით, სსსმ და შშმ 426 პირი ჩაირიცხა 23 პროფესიულ სასწავლებელში, 30-

მდე სხვადასხვა პროგრამაზე. სასწავლებელი დაამთავრა ჩარიცხულ სტუდენტთა 40%-მა, ხოლო დასაქმებულ კურსდამთავრებულთა რაოდენობა მხოლოდ 31-ია. პირთა პროფესიული განათლება წარმატებულ ინიციატივად იმ შემთხვევაში ჩაითვლება, თუკი მას კურსდამთავრებულთა დასაქმება და პროფესიული უნარ-ჩვევების რეალიზება მოჰყვება. შესაბამისად, განათლების სამინისტროსთვის აქტუალურ საკითხს, პროფესიული განათლების დასრულების შემდეგ, სსსმ სტუდენტთა დასაქმების მხარდაჭერა წარმოადგენს.

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ დამსაქმებლებისათვის მნიშვნელოვანია ჰქონდეთ ინფორმაცია, თუ ვინ არიან სამუშაოს მძიებელი პირები, მათი ცოდნის, უნარებისა და ინტერესების შესახებ. შემუშავდა რეკომენდაციები, რომ არსებობდეს შუალედური რგოლი დამსაქმებლებსა და შშმ და სსსმ პირთა შორის და დამსაქმებლებს გარკვეულ ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობა ჰქონდეთ.

განათლების სამინისტროს ინიციატივითა და ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს ჩართულობით, მიმდინარეობდა მოლაპარაკება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სოციალური მომსახურების სააგენტოსთან შშმ და სსსმ პირთა დასაქმების სხვადასხვა სერვისების შექმნისა და პილოტირების თაობაზე.

ამასთანავე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შექმნა პუბლიკაცია დამსაქმებლებისათვის, სადაც განმარტებული იქნა, თუ რას ნიშნავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმება და რატომ შეიძლება იყოს ეს მომგებიანი დამსაქმებისათვის.

სწორედ ამ თანამშრომლობის შედეგია, რომ 2016 წლიდან ამოქმედდება ახალი სერვისი.

## ჩვენი თავბადასავალი

კავკასიურ სახლში, ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, დამწყები პროზაიკოსების კონკურსის „ჩვენი თავბადასავალი“ ფარგლებში გამოცემული წიგნის პრეზენტაცია გაიმართა, რომელშიც 24 ნიჭიერი ახალგაზრდის მოთხრობებია შესული. ღონისძიებას ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის სპორტული და კულტურული პროგრამების დეპარტამენტის უფროსი თეა ყიფშიძე უძღვეოდა. საღამოს ესწრებოდნენ: ცენტრის უფროსი გიგა გაბელაია, მისი მოადგილე ზურაბ ცოფურაშვილი, ელექტრონული წიგნების სახლის წარმომადგენელი თეონა დოლენჯაშვილი, მონვეული სტუმრები და ლიტერატორები. კონკურსის კონსულტატებმა – გიორგი ლობჯანიძემ, ანა კორძია-სამადაშვილმა და ირაკლი ჯავახაძემ კონკურსის მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

გიორგი ლობჯანიძე, პოეტი და მთარგმნელი:

„ამ არჩევულებრივი ყმანვილების გაცნობამ დიდი ბედნიერება და სიხარული მომიტანა. კონკურსი სამომავლო ძალების ერთგვარი დათვალიერება და ამ ძალების მოპოვებისაა. მჯერა, რასაც ეს ადამიანები ხვალ დაწერენ, ჩვენი და ჩვენი ქვეყნის თავადასავალი იქნება!“

„შესანიშნავი ამბები წავიკითხეთ“ – ნაცხადა მწერალმა ანა კორძია-სამადაშვილმა. „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქტორმა და მწერალმა ირაკლი ჯავახაძემ კი აღნიშნა, რომ მთავარია წამოწყება, რასაც ცენტრი უდგას სათავეში.

თეონა დოლენჯაშვილი: „ელექტრონული წიგნის სახლი „საბა“ სამი რჩეული მონაწილის – ქეთი მითითაიშვილის, თემურ ზიიძის და თამთა გვენცაძის მოთხრობების კრებულს გამოსცემს.“

რევაზ თოფურია





სასკოლო აქტივობა

# ქრნისის 72-ე საჯარო სკოლის პროექტის მიმოხილვა

## თბილისის 72-ე საჯარო სკოლის პროექტის მიმოხილვა

„როდესაც ილაპარაკო გუდამაყრის პრობლემებზე. მით უმეტეს, როცა 17 წელია აქ ცხოვრობ და ეჩვევი იმ პირობებსა და გარემოს, რომელშიც განგებამ გარგუნა დაბადება; როცა ერთი მიზანი გაქვს, გუდამაყრის უსასრულო ბილიკებში იპოვო შენი ადგილი და გაიკვილო გზა ცხოვრებაში. მე გუდამაყრის ტკივილებზე ვერ ვისაუბრებ, რადგან თუ ვინმე ჩახედავს თითოეულ იმ მცხოვრებს თვალში, დაინახავს ზღვას, რომელიც ჯერ არ აღმოუჩენია და, რომელიც წყლით კი არა, ცრემლით აუვსია ბინდისფერი ხეობის სევდას.“

რა მტკიავს? მტკიავს, რომ ხალხმა ახალგაზრდა ასფალტი გაცვალა მოხუცი ქალის მზერაში, რომ ასე უმონყოლოდ მიატოვეს და გაიმეტეს მთა. მტკიავს ჩრჩილმოკიდებული აკვნები, რომლებიც ელიან ჩვილის ტირილს, რათა კიდევ ერთხელ გააღვიძოს 300 არაგველის ყოყინამ ნელში მოხრილი, დარდიანი გუდამაყარი.“

### ბიორბი ბეჰაური

გუდამაყრის საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე

„სიო უბერავს, ირგვლივ გამეფებულ მდუმარებას მცირე სულს ჩაბერავს და შემდგომ თითქოს არსაიდან მოსულაო, უკვალოდ ქრება. ეს ხომ სუნთქვაა... გუდამაყარი სუნთქვას! იგი დაჭრილ მემობარა ჰგავს, რომელიც ხალხისაგან ისე იცლებება, როგორც ჭრილობა სისხლისაგან.“

მეომრის სუნთქვა... აი, რა არის ეს იდუმალი სიო. ირგვლივ რომ ყველაფერს სიცოცხლეს შთაბერავს, მიტოვებულს, დანგრევამდე მისულს გამოაცოცხლებს და ფეხზე დააყენებს, მისი მოძრაობა ერთადერთი რამაა, რაც გუდამაყარს ასულდგმულს. ის რომ არა...“

### დავით ბეჰაური

გუდამაყრის საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

„ჩემი ტკივილია მარტოობა, უამხანაგობა, უმეგობრობა... ხუთი წელია სკოლაში დავდივარ და თანაკლასელი არ მყოლია. მიწა, კარგი ბავშვობა მქონდეს, გავერთო თანატოლებთან ერთად, მაგრამ... ხეობა და ცოცხალია ახალგაზრდებისაგან, სოფელი მოხუცთა ანაბარა მიტოვებული. ჩემს სოფელში სულ 4 მოხუცებული ცხოვრობს. იმათაც ჩემი იმედი აქვთ, რა ვქნა, წუნუნის დრო არ მრჩება, სახლი, სკოლა, ეკლესია... საქმე ყველგან ბევრია, ყველგან მე მელიან... წლები გადის და თენდება, ღამდება, გრძელდება ჩემი მარტოობა და გულისტკივილიც ძლიერდება. ვთხოვთ, გუდამაყრელებო, დაუბრუნდით მთას! ის ხომ გელით თქვენ. ნუ უღალატებთ ფუძის ანგელოზებს, გაიზიარეთ ჩვენი ჭირიც და ღვინიც და ერთად ავადობდით მიტოვებული კუთხე. ვუერთგულოთ, ვემშობლოთ და ერთად მოვეურჩინოთ იარები.“

### ანა ბეჰაური

გუდამაყრის საჯარო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე

ეს მხოლოდ ნაწილია ისეებისა, გუდამაყრელებმა რომ მთიდან ბარად ჩამოვიტანეს იმ პროექტის ფარგლებში, რომელსაც სახელად „ქრნისის 72-ე საჯარო სკოლის პროექტის მიმოხილვა“ ჰქვია და თბილისის 72-ე საჯარო სკოლის დირექტორის, მანანა კიკაჩიშვილის თაოსნობით დაიგეგმა და განხორციელდა 2015 წელს. ყველაფერი კი დაიწყო ასე: გოდერძი ჩოხელის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ღონისძიება დაგეგმა და ჩაატარა ქართული ენის კათედრამ გაზაფხულზე. მოსწავლეებმა გააცოცხლეს პერსონაჟები მოთხრობებიდან: „სამოთხის გვრდები“, „წერილი ნაძვებს“, „ადამიანთა სევდა“. სკოლაში გაიხსნა გოდერძი ჩოხელის გალერეა, რომლისთვისაც კედლის პანოები დახატეს მოსწავლეებმა: ანასტასია კეკელიამ და თინათინ ზარქუამ. გაიკვია, რომ გოდერძის მშობლიური კუთხის შესახებ ცოტა რამ თუ იცოდნენ პატარებმა, ბევრი ნამყოფიც არ იყო მთაში. გაჩნდა იდეა, შეგვექმნა პროექტი „ქრნისის 72-ე საჯარო სკოლის პროექტი“. სიტუაციის გასაცნობად შევხვდით დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებულს, ვაჟა ჩოხელი და საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს, დავით ოსეფაშვილს, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გუდამაყრის დეპუტატს, თამაზ ბექაურს და გუდამაყრის თვითმმართველობის ერთეულის გამგებულს, მალხაზ ნიკლაურს. მეორე საქმიანი ვიზიტის დროს მონაწილეობა

მივიღეთ დუშეთის მუნიციპალიტეტის საინიციატივო ჯგუფის კონფერენციაზე სტუმრის სტატუსით. საზოგადოებას გავაცანიო პროექტის იდეა, გუდამაყრის საჯარო სკოლას საჩუქრად გადავცით ნიგნები და ვესაუბრეთ საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატს ირაკლი ტრიბოლსკის. საპროექტო ჯგუფის წევრები და მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლები დაესწრნენ გოდერძი ჩოხელის საიუბილეო ღონისძიებას – „გოდერძობას“ სოფელ ჩოხში.

საპროექტო ჯგუფმა განაცხადის მიხედვით შექმნა პროექტი, რომელიც დააფინანსა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ კონკურსის „ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ „სასკოლო ინიციატივების ნახალების ქვეპროგრამის“ ფარგლებში. ნოემბრიდან დაიწყო პროექტის აქტივობების განხორციელება: 2015 წლის 15 ნოემბრიდან 20 ნოემბრამდე სკოლაში გამოცხადდა „მწვანე ყუთის“ აქცია, რომელიც ჩართო თემი და 65-ე საჯარო სკოლა. შეგროვდა 1497 კგ. მაკულატურა, რომელიც გადაიღვალა მხატვრულ ლიტერატურაზე. 2015 წლის 3 დეკემბერს „მწვანე ყუთის“ აქციის ფარგლებში გადაცვლილი მხატვრული ლიტერატურა ჩავიტანეთ გუდამაყრის საჯარო სკოლაში და გადავცით სკოლის ბიბლიოთეკას. ჩვენი სკოლის გეოგრაფიის (ტურიზმის მენეჯერის) და ისტორიის მასწავლებლებმა გაუწიეს კონსულტაცია გუდამაყრის სკოლის უფროსკლასელებს ტურიზმის მენეჯმენტის ელემენტარული უნარ-ჩვევების გაუმჯობესების კუთხით. 2015 წლის 5 დეკემბერს თბილისის №72 საჯარო სკოლის დირექციამ გუდამაყრის საჯარო სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს უმასპინძლა. სტუმრები დაესწრნენ დანწყებითი კლასების პედაგოგის ნინო მიქიაშვილის ღონისძიებას „მთის გავლით მიხვალ ღმერთთან“, რომელიც მეოთხეკლასელებმა გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებების მიხედვით მოამზადეს. პროექტის ფარგლებში, გუდამაყრელებმა დათვალიერეს ძველი თბილისი, ქრნისის ბრძოლის ისტორიულ ადგილსაც მიაგეს პატივი.

2015 წლის 12 დეკემბერს განხორციელდა ექსპედიცია – ინფორმაციის გუდამაყრის ხეობაში, მასალების მოკვლევა კონფერენციისა და Facebook გვერდისათვის. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა საგნის პედაგოგები და მოსწავლეები, რომლებიც გუდამაყრის საჯარო სკოლის პედაგოგებს, მოსწავლეებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდნენ. შეაგროვეს მასალა ფლორისა და ფაუნის, ხეობის ადრეულ ნივთების, ხალხური შემოქმედების, ფოლკლორის შესახებ. დასკვნითი ღონისძიებას წინ უძღოდა სკოლის წარმატებული მოსწავლეების ვიზიტი გუდამაყარში, ფოტომასალის შეგროვება, გოდერძი ჩოხელის ფილმების ჩვენება, ნაწარმოებების გაცნობა, შთაბეჭდილებების გადმოცემა წერილობით და ნახატების გამოფენა.

დასკვნითი ღონისძიებას ესწრებოდნენ გუდამაყრის საჯარო სკოლის დირექტორი ჟუჟუნა ნიკლაური, გუდამაყრის სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები, დუშეთის მუნიციპალიტეტისა და გუდამაყრის თვითმმართველობის წარმომადგენლები, თბილისის სხვადასხვა სკოლის დირექტორები, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარეები. ღონისძიება გაშუქდა პირველი არხისა და „ერთსულოვნების“ ეთერში. ბავშვებმა საოცრად ემოციურად წაიკითხეს ისეების კონკურსში – „ჩემი თვლით დანახული გუდამაყარი“, „მთის პრობლემები“ – გამარჯვებული ნამუშევრები. ისეების ავტორები არიან 72-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები: ნიკა კახიანი, ენი ამოვეი, ირაკლი გახარია, დავით ასატუროვი; გუდამაყრის საჯარო სკოლის მოსწავლეები: გიორგი ბექაური, ანა ბექაური, დავით ბექაური, დავით ნიკლაური, თეონა ბექაური, ნუკა ნიკლაური, ზვირა ნიკლაური, თამაზ ბექაური. 72-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა ქეთევან ქათამაძემ წაიკითხა ჩანახატი გოდერძი ჩოხელის შემოქმედების შესახებ, რომელიც მოგივინებთ გაზეთ „ახალ განათლებაში“ დაიბეჭდა. ღონისძიებას ალაპარაკებდა სკოლის გუნდის მუსიკალური ნომრები, რომლებიც მოამზადეს მოსწავლეებმა მუსიკისა და ხელოვნების პედაგოგების ხელმძღვანელობით. რევაზ ლაღიძის „განთავიძინე ძალიან ემოციურად შეასრულა მე-7 კლასის მოსწავლე მარიამ ოქროქელიძემ. დერეფანში გამოიფინა ფოტოსტენდი „კადრში გაცოცხლებული



გუდამაყარი“, ასევე გუდამაყრის და თბილისის სკოლის მოსწავლეთა ხელნაკეთი ნივთები და ხელოვნების პედაგოგ ინეზა ჯიბუტის გობელენები და ნამუშევრები თეძაში. სტუმრებმა საკუთარი შთაბეჭდილებები გაუზიარეს საზოგადოებას. 72-ე საჯარო სკოლის თვითმმართველობის წარმომადგენელმა ნინო ნატროშვილმა თანატოლებს სიტყვით მიმართა და მოუწოდა მათ, რომ სწორად ესტუმრონ გუდამაყარს, გააცოცხლონ და აახმაურონ ეს უღამაზესი ხეობა.

პროექტზე მომუშავე ჯგუფის ყველა წევრს და მასში ჩართულ ყველა პირს დირექციამ მადლობა გამოუცხადა: მანანა კიკაჩიშვილი – სკოლის დირექტორი, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, ნანა აბრამიშვილი – დირექტორის მოადგილე, კარინა მანკულაძე – დირექტორის მოადგილე, ირმა სამხარაძე – ისტორიის პედაგოგი, ფიქრია ოტიაშვილი – გეოგრაფიის პედაგოგი, თამარ ტალახაძე, ფატი მუსელიანი, ქეთი ქათამაძე – ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგები, ლელა ზუნაშვილი – მათემატიკის პედაგოგი, ზურაბ ფერაძე – გეოგრაფიის პედაგოგი, ირმა კაკუშაძე – ქიმიის პედაგოგი, ესმა გუკასიანი – ბიოლოგიის პედაგოგი, სალომე ასანიძე – ხელოვნების პედაგოგი, ნინო გიორგობაიანი – მუსიკის პედაგოგი, თინათინ მელქაძე, მარიკა აფციაური, ნატო ხაჭაპურიძე, ლელა ჯავახიშვილი, ნინო მიქიაშვილი, ნინო ხინგია, ლელა ჯანსოთელი – დანწყებითი კლასების პედაგოგები, ლედი ბაინდურაშვილი – ინგლისური ენის პედაგოგი, ბელა ბეგლარიშვილი – ბუნებისმეტყველების პედაგოგი, იდა კარსელი – მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი.

პროექტის შედეგად დავემგობრდით გუდამაყრის საჯარო სკოლასა და იქაურ მოსახლეობასთან და, გოდერძი ჩოხელის დარად, ერთმანეთის დარდების გამოზარებლებიც გავხდით. ამას მოჰყვა რამდენიმე ექსკურსია: მეოთხე კლასის მოსწავლეების (კლასის ხელმძღვანელი – ნინო მიქიაშვილი), მეხუთე კლასის მოსწავლეების (კლასის ხელმძღვანელი – თამარ ტალახაძე), პროექტის ერთ-ერთი მიღწეული შედეგია მე-12 კლასის მოსწავლეების – ნიკიტა დანკოვა და გიორგი კვიციანიშვილის მიერ შექმნილი პროექტის ფეისბუქგვერდი [www.facebook.com/events/162990906721657](http://www.facebook.com/events/162990906721657) და მასალების ამსახველი ბლოგი [www.72skola-gudamakari.blogspot.com](http://www.72skola-gudamakari.blogspot.com). მომზადდა სლაიდ-შოუ და ფოტოგამოფენა. მთავარი შედეგი კი მაინც გამოიხატა ფრაზით, რომელიც ღონისძიებას ლაიტ-მოტივად გასდევდა: „არ იქნება გუდამაყარი ნაგუდამაყარი!“ მოზარდებმა, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა (72-ე საჯარო სკოლა ქართულ-რუსულ სექტორებს აერთიანებს), თავიანთი ჩანახატები, ლექსები წაიკითხეს და გამოთქვეს იმედიც და რწმენაც, რომ ერთობლივი ძალისხმევით ჩვენ შევძლებთ გუდამაყრის გადარჩენასა და აღორძინებას.

### ჩემი თვლით დანახული გუდამაყარი

„ნასოფლარი, ნასახლარი, ნაფუძარი, ნავენახარი – დღემდე ჩემთვის მხოლოდ წინავითარების აღმნიშვნელი სახელები იყო. ფილმებში თუ მენახა მიტოვებული სოფლები, სახლები. ყოველივე ეს გუდამაყრის ხეობაში ვნახე და გავოცდი, რა სევდიანი და გულისამაჩუყებელი ყოფილა ეს სურათი, რამხელა „ადამიანური სევდა“ ჩასახლებულა ერთ დროს სიცოცხლით სავსე, ახლა კი უპატრონოდ დარჩენილ სახლებში. მთის ზღაპრული ბუნების ფონზე მართლაც ენით აუწერე-





სასკოლო აქტივობა

ლი კონტრასტი იქმნებოდა. შემზარა კიდევ იმის გაფიქრებამ, რომ ეს მინიერი სამოთხე შეიძლება დაიცალოს, გაუკაცრიელდეს, მაგრამ არა, ეს ცუდი ფიქრები ჩემი თანატოლების მხიარულმა ხმებმა გამიფანტა. ისინი ჩვენს შესახებ ედრად ძალიან მორიდან მოვიდნენ ფეხით. დიდი სიბო მოდიოდა მათგან – ნამდვილი, ხალასი, წმინდა გულწრფელი სიბო, რასაც არაფერი შეეძრება და მე მივხვდი, რომ სწორედ ეს ადამიანები არ დაუშვებენ გახდეს – ხევი ნახევარი, კაცი ნაკაცარი და საქართველო ნახევრის ნახევარი.“

ენი აშოაში 72-ე საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე

„მე გუდამაყრელები მხოლოდ ორჯერ მყავს ნანახი, მაგრამ მათთან ურთიერთობისას მინდებოდა, იმაზე უკეთესი ვიყო, ვიდრე ვარ. ამ ხალხთან ყოფნისას მეუფლება სიმშვიდის გრძობა, ჩემი გული სიკეთით ივსება. მათ მე თავი ძალიან შემაყვარეს ამ მოკლე ხანში და მეც თავს უკვე მათ ნაწილად ვგრძობ.“

ნიკა კახიანი 72-ე საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

„საქართველო ლამაზია, ნებისმიერი კუთხე დიდებულია საქართველოსი. მემამყება, რომ ვარ ქართველი, მაგრამ კიდევ უფრო მტკივა გული, რომ ჩემს საქართველოში არის ასეთი კუთხე, მდიდარი ბუნების მშვენიერებით, მაგრამ ღარიბი – ადამიანებით. მადლობა იმ გუდამაყრელებს, რომლებიც მთას სიყვარულის გამო არ ტოვებენ. იქნებ გამოჩნდეს ადამიანი, ვინც მთის პრობლემებს მართლაც მოაგვარებს. რა დიდებული სანახავი იქნება სალ კლდეებში, კავკასიონის ქედებშია მდებარე გუდამაყარი. ღმერთო, ისმინე ჩემი თხოვნა, გამოაჩინე მამულისთვის გულატიკივებული გმირი და აალორძინე ეს კუთხე.“

ირაკლი ბახარია 72-ე საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე

დაბოლოს, არ შეიძლება რამდენიმე სიტყვით არ შევავასოთ გიორგი ბეჭაურის შემოქმედება. გოდერძი ჩოხელის სამშობლოში კვლავაც იბადებიან პოეტები და მთელი კაცი მალე ისევ იამაყებს ნორჩი შემოქმედის ქმნილებებით. მისი პოეზია და პროზა არ ბაძავს არც ერთ მწერალს, არ იმეორებს არც თავად გოდერძის სტილს, უბრალოდ, საესეა ტკივილითა და სევდით, რასაც საკმაოდ ორიგინალურად გადმოსცემს.

\*\*\*

„სადაც ცის მახლობლად დგანან იალქნები, მყუდრო ჰარმონიას ქმნიან უსიტყვობით, ახლა მთელ სხეულში მათით ვირითმები, ახლა მათ გარეშე ღმერთსაც ვერ ვენდობით.“

დგანან, საუკუნეს დროში იბერებენ, რამდენს მოგვითხრობენ ალბათ ისტორიებს, ალბათ უმემკვიდროს რამდენს უწოდებენ, რამდენს დაუდგამენ ალბათ მემორიალს.

ჩვენ კი, მოკვდავები, ენას გადმოვადგებთ, მათი ასაკი და ცრემლი გაგვაოცებს. სამჯერ სამი ათას ფოტოს გადავუღებთ, მას კი ტრაგედია ჯვარზე ჩამოაცვამს.“

გიორგი ბაქაშვილი გუდამაყრის საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე

გოდერძი ჩოხელის სიხარულის სევდა

„მარტო ვარ, მარტო დავდივარ, მარტოდ ვაწუხებ საწუთროს, ხან დარდი ამეწენება, ხან ვეძებ სულის სამყუდროს.“

გოდერძი ჩოხელი

თუ ვაჟს ბუნების მესაიდუმლეს ვუხმობთ, აკაკის მომღერალ ბულბულად ვაღიარებთ, გოგლა ლეონიძეს ძარღვიანი ქართულის მეხოტბედ მოვისხენიებთ, კონსტანტინე გამსახურდიას კი რაინდული სულის ქომაგად მოვიზიარებთ, მაშინ გოდერძი ჩოხელი სიცოცხლის სევდის მოტრფიალდა უდავოდ. მისი მოთხრობებიდან ჟონავს და ჩვენს სულში აღწევს ის უნაპირო და იდუმალი სევდა, სიცოცხლეს რომ ახლავს თან და მეგზურით მუდამ თან დაგვყვება მოკვდავებს. გოდერძი ჩოხელი ის ღრუბელია, მზის ცრემლებს რომ ინახავს და ადამიანებს აპყურებს საჭირო დროს, მინიდან ამოწვევით ბალახია, რომელსაც ძალიან უხარია დედამინაზე სტუმრობა და ჩვენც გვაზიარებს ამ სიხარულს; გოდერძი ჩოხელი დედამიწელთა დარდებით სავსე ხურჯინია, ყველას დარდის გამზიარებელი და გულშემატიკივარი; ბედისწერის თოკზე მიბმული ცხენია, რომელიც ტრიალებს საკუთარი თავის გარშემო და ცდილობს, გააღწიოს მომწუსხველ რეალობას, თუმცა ამაოდ. მის ნააზრევში მრავლადაა დარდი, ნალექი, არყოფნის სევდა და სინანული არსებობის გამო, თალხი ფერები ჭარბობს მხიარულს, უცნაური პერსონაჟები ჭარბობს სტანდარტულ დადებით ან უარყოფით გმირებს, გლოვია ეს ნუთისოფელი მისთვის, მინც დაუძლეველია სიცოცხლის სიყვარული. იდუმალი და თავდახრილი დგას მწერალი მარადისობის წინაშე და გრძობს ერთადერთს: დღეს აქ არის და ხვალ მისი სუნთქვა ნიავს შეერევა, კლდე შეერწყმება, ცას მიაღწევს, მზემდე ავა და ყველა იტყვის: იყო გოდერძი ჩოხელი!

მის მოთხრობებში ნაძვი ისეთ სიზმრებს ხედავს, ბევრ მოკვდავს რომ წინასწარმეტყველად შერაცხავდა (იქნებ იყო კიდევ ამ მწერალში რაღაც არამინიერი, ლეთიური), მისი სიზმარი დედამიწის გულშიც ჩაგახედებს და ცაშიც ავაფრენს,

„ხან შორიდან ვუყურებ დედამიწას. დედამიწას იქიდან სხვანაირს ვხედავ: ცოცხალს! მდინარეები მისი სისხლძარღვებია, ზღვები, ოკეანეები – ფილტვები. ტყეებით სუნთქავს. ჰაერი მისი სულია. თვითონვეა კაციც და დედაკაციც.“

მწერალი სულდგმულობს ისეთი ირეალური სურვილებით, როგორცაა თევზად გადაქცევა (თევზის წერილები) და წყალში ცხოვრება, რადგან ადამიანებს მისი არ ესმით; ნაძვის ხის გადასარჩენად საკუთარი სხეულის გამოყენება (წერილი ნაძვებს), ადამიანთა დარდების შეგროვება და უფალთან წარდგენა (დარდების შემგროვებელი)... და ეს სურვილები ჩვენთვისაც სასურველი და საოცნებო ხდება. არადა, ხშირად თავადვე ხსნიდა ფარდას საკუთარ სურვილებს:

– შენ უკვე გიჟი ხარ, გოდერძი ჩოხელი!  
– ჩემზე სულელი ხარ შენ, ნუთისოფელი!

ადრე დადგა მწერლისათვის შემოდგომა, სიცოცხლის მწუხრი, ადრე დასცივდათ ფოთლები მის ნატვრის ხეებს, ადრე დათოვლა გაძარცვულ ტყეში, უდროოდ აღმოჩნდა ხელოვანი იმ გზის დასასრულთან, საიდანაც მხოლოდ მზის ჩასვლა ჩანს...

„მზე იწურება მთების იქით, მიმწუხრი დგება, გულში კი სევდა საღამოვდება.“

ნეტავ იქაც თუ გრძელდება კაცის თავგადასავალი? იქ, მიღმეირ სამყაროში მაინც თუ შეძლებს გუდამაყრელი თავისი დარდების გაქარვებას? იქნებ იქაც თავდაყირა ჩანან წყალში ხეები, მთები და ადამიანები? თუ ეს დარდი მაინც აღარ აწუხებს ჩოხელ ვაჟკაცს? აქ როგორ გაძლებენ უმისოდ დევნები, შვილის ქორწილში რომ თამადად დაპატიჟა? ან სიცოცხლის სევდას ვინ უმღერებს.

„მზე ვილასი ცრემლიდან გადმოვავ ხვალე?“

ან სიკვდილი თავის ფერს როდისლა დაიბრუნებს შენი სიცოცხლენაყვამი?“

(ნინო სადღობლაშვილი – გოდერძი ჩოხელს)

საოცარია, მაგრამ გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებების ნაკითხვის მერე კი არ მძიმდება და სევდიანდება, არამედ სული უფრო გიმსუბუქდება, თითქოს იცლები ყოველგვარი უარყო-



ფოთი ემოციისაგან და გინდა, შენც მასავით იოცნებო, გაილადლო სული და ისუნთქო თავისუფლად.

„ლამაზი ისაა, კლდე რომ გაგისხენებს: იყო გოდერძი ჩოხელი!  
ლამაზი ისაა, კლდეს რომ შეერევი, სუნთქვას რომ ვაატან ნიავს...“

ქეთი ქათამაძე 72-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი

ინფორმაცია

ევროკომისიისა და ევროკული განათლების ფონდის სამუშაო შეხვედრა

ევროპული განათლების ფონდის (European Training Foundation ETF) ორგანიზებით, იტალიის ქ. ტურინში, ევროკომისიის წარმომადგენელთა და ევროპული განათლების ფონდის მმართველთა საბჭოს სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდნენ ევროკავშირის წევრი ქვეყნების, ევროკომისიისა და ETF-ის პარტნიორი ქვეყნების ოფიციალური წარმომადგენლები. საქართველოს მხრიდან, შეხვედრაში მონაწილეობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე და მინისტრის პირველი მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი.

შეხვედრის ფარგლებში განიხილეს პროფესიული განათლების მიმართულებით არსებული თანამედროვე ტენდენციები, როგორც გლობალური პოლიტიკის, ეკონომიკისა და სოციალური განვითარების კონტექსტში, ისე საქართველოსა და ევროპული განათლების ფონდ ETF-ს შორის წარმატებული პარტნიორობის შედეგები და ქვეყანაში მიმდინარე განათლების რეფორმის პროგრესი.

აღნიშნულ სესიაზე, როგორც ევროპული განათლების ფონდის ETF დირექტორმა მადლენ სერბანმა განაცხადა, საქართველო წარმოადგენს ევროპული განათლების ფონდის საიმედო პარტნიორს, რომელიც თვითი ძალისხმევით მონაწილეობს განავითაროს პროფესიული განათლების სისტემა საქართველოში. მან ასევე აღნიშნა, რომ ევროკავშირის საბიუჯეტო დახმარების როლი მნიშვნელოვანია ქვეყნის პროფესიული განათლების სისტემის ტრანსფორმირებისა და რეფორმის ფექტიანი განხორციელების ეტაპზე. მისივე თქმით, საქართველო აქტიურადაა ჩართული ევროპული განათლე-

ბის ფონდის ETF მიერ ორგანიზებულ ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებაში და ევროკავშირის მხრიდან განუღი ყველა დახმარება პოზიტიურად აისახება სისტემის განვითარებაზე. ევროკავშირის მხარდაჭერით, ETF კოორდინირებულად თანამშრომლობს საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული საქართველოს პროფესიული განათლების განვითარების პროცესში. შედეგად, საქართველოში მიაღწია პროგრესს, რაც დადებითად აისახება საქართველოს პროფესიული განათლების განვითარებაზე.

რეკტორთა საბჭომ მნიშვნელოვან საკანონმდებლო სვლილებებზე იმსჯელა

საქართველოს პარლამენტის მიერ, 2015 წლის დეკემბერში, მიღებული იქნა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლითაც გადაიჭრება უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში დღეისათვის არსებული მრავალი პრობლემა და საფუძველი ჩაეყრება ფუნდამენტურ ცვლილებებს.

წლების განმავლობაში არ იყო განსაზღვრული მეცნიერთა სტატუსი, მათი უფლება-მოვალეობები. ისინი ვერ მონაწილეობდნენ უნივერსიტეტების მართვასა და სასწავლო პროცესში. შეზღუდული იყო მკვლევართა მონაწილეობა თვითმომავალი მეცნიერების აღზრდის პროცესში. საკანონმდებლო ცვლილებების იმპლემენტაციის შედეგად გადაიჭრება ზემოთ აღნიშნული პრობლემები. კერძოდ, მოხდება: სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების იურიდიული სტატუსის განსაზღვრა, საკანონმდებლო დონეზე კვლევითი დაწესებულებების სტრუქტურისა და ფუნქციონირების მექანიზმის მონესრიგება, უნივერსიტეტებში მეცნიერთა სტატუსის აღდგენა, სწავლებასა და კვლევას შორის კავშირის აღდგენა და სწავლების პროცესში კვლევითი კომპონენტის გაძლიერება, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების შეფასების სისტემის ამოქმედება. გარდა ამისა, საკანონმდებლო ცვლილებები – ერთობლივი აკადემიური ხარისხის ცნების შემოტანით და უნივერსიტეტის დეფინიციის დაზუსტებით – ხელს შეუწყობს საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის ჰარმონიზაციას ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან.

საკანონმდებლო ცვლილებებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პედაგოგიური განათლების სისტემის რეფორმას, რაც უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისთვის ახალი, თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი მასწავლებლების მომზადებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ კანონით გათვალისწინებული ცვლილებების იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მოქმედ რექტორთა საბჭოს წევრებთან ერთად იმსჯელა. სამოქმედო გეგმის განხორციელება მოხდება უნივერსიტეტების, მათში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების აქტიური ჩართულობით. შეხვედრაზე განისაზღვრა ამა თუ იმ აქტივობაზე პასუხისმგებელი სტრუქტურები, პირები და შესაბამისი ვადები.

გამომდინარე იქიდან, რომ საკანონმდებლო ცვლილებების აღსრულება მოითხოვს უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების აქტიურ მონაწილეობას და მთელი რიგი ცვლილებების განხორციელებას, რექტორთა საბჭოზე ასევე განიხილეს რამდენიმე ფართომასშტაბიანი კონფერენციის ჩატარების საკითხი, სადაც განიხილება კონკრეტულ აქტივობასთან დაკავშირებული კონცეპტუალური და პრაქტიკული საკითხები, ჩამოყალიბდება ყველა მხარისთვის მისაღები საერთო მიდგომები.



სასკოლო აქტივობა

# არქეოლოგია, კულტურული მემკვიდრეობა, უახლესი მიღწევები

2015 წლის მიწურულს, სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის თბილისის №51 საჯარო სკოლის საკონფერენციო დარბაზში, პროექტის „არქეოლოგია, კულტურული მემკვიდრეობა, უახლესი მიღწევები“ დასკვნითი ღონისძიება გაიმართა.

პროექტის ორგანიზატორია №51 საჯარო სკოლის დირექტორი მანანა თურქაძე, ავტორი – №51 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე, ხელოვნებათმცოდნე ნინო ალექსიძე. პროექტი გაიმართა „სასკოლო ქსელების“ პროგრამის ფარგლებში, მონაწილეობდნენ ხუთი საჯარო სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები. ეს სკოლებია: №51 საჯარო სკოლა, თბილისის კლასიკური გიმნაზია, №53 საჯარო სკოლა, თელეთის საჯარო სკოლა, თბილისის №137 საჯარო სკოლა. პროექტის ფარგლებში ბევრი საინტერესო, შემეცნებითი ღონისძიება განხორციელდა. არქეოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის შესწავლის მიზნით რამდენიმე სამუშაო შეხვედრა გაიმართა, ჩატარდა ლექცია-სემინარები, ექსკურსიები, მოეწყო შეხვედრები არქეოლოგიისა და ხელოვნების მოღვაწეებთან.

ხუთივე სკოლის გუნდი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიას ენვია, სადაც მოსწავლეებს ხელოვნების ისტორიის, თეორიის და რესტავრაციის ფაკულტეტის ლექტორებმა და სტუდენტებმა უმასპინძლეს. მოსწავლეებმა დაათვალიერეს უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ლაბორატორიები და გაეცნენ, თუ როგორ ხდება ხელოვნების ნიმუშების, ხატების, ფრესკების რესტავრაცია. ხელოვნების სახელმძღვანელოს ავტორებთან – ანა კლდიაშვილთან და ნინო ლაღანიძესთან – გულთბილი შეხვედრა განსაკუთრებით საინტერესო და ემოციური იყო მოსწავლეებისთვის. მათ ბევრი საინტერესო ისტორია გააცნეს ბავშვებს და შეკითხვებსაც უპასუხეს.

პროექტის ფარგლებში მოსწავლეები შეხვედნენ თრიალეთის კულტურის ექსპედიციის ხელმძღვანელს, არქეოლოგ გოდერძი ნარიანიშვილს. მან დეტალურად ისაუბრა თრიალეთის უნიკალური ხელოვნების ნიმუშების შესახებ. მოსწავლეებმა ჩანერეს საინტერესო ინტერვიუ და დადებითი ემოციებითა და ახალი ცოდნით შეიარაღებულნი დატოვეს არქეოლოგიის ინსტიტუტი. დაათვალიერეს, აგრეთვე, ლადო გუდიაშვილის სახლ-მუზეუმი. რომანტიკულმა, დეკორატიულმა ფერწერულმა ნამუშევრებმა ესთეტიკური ზეგავლენა მოახდინა უფროსკლასელებზე;

საქართველოს არქეოლოგიური მემკვიდრეობის შესწავლის მიზნით მოსწავლეები ესტუმრნენ შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმს, დაათვალიერეს ოქრომჭედლობის და ფერწერის შედეგები; ხუთი სკოლის დამეგობრებული მოსწავლეები ექსკურსიაზე იმყოფებოდნენ გრაკლიანში, სადაც გაეცნენ თანამედროვე ქართული არქეოლოგიის მიღწევებს, დაათვალიერეს უნიკალური ხელოვნების ნიმუშები. მოსწავლეებს გრაკლიანში მეგზურობა გაუწია ექსპედიციის ხელმძღვანელმა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ვახტანგ ლიჩელმა; მონაწილეებს აგრეთვე, თბილისში, აბანოთუ-



ბანში 40 სებასტიანელ მონაშეთა ტაძრის მიმდებარე ტერიტორია. რამდენიმე თვეა, რაც აბანოთუბანში არქეოლოგებმა ანტიკური პერიოდის აბანოები და არტეფაქტები აღმოაჩინეს. ეს აღმოჩენა ქართული არქეოლოგიისა და ისტორიის კიდევ ერთი წარმატებული ფურცელია.

პროექტის „არქეოლოგია, კულტურული მემკვიდრეობა, უახლესი მიღწევები“ დასკვნით ღონისძიებაზე გაიმართა სახელოვნებო კონფერენცია ხუთივე სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით. ღონისძიებას ესწრებოდნენ: „სასკოლო ქსელების“ კოორდინატორი მედეა სამსონია, ტრენერ-კონსულტანტი მაკა მამფორია, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ანა კლდიაშვილი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ნინო ლაღანიძე, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ეთნოგრაფიის და ხალხური რეწვის კაბინეტის ხელმძღვანელი თინათინ გაბოძე, გრაკლიანის ექსპედიციის ხელმძღვანელი ვახტანგ ლიჩელი, პროექტში ჩართული სკოლების დირექციის წარმომადგენლები და პედაგოგები: თინათინ ყენია, ნანა ბურდული, ეკა კვიციანი, მაკა ბუდალაშვილი, ნათია თათულაშვილი, ელისაბედ ბუსხრიკიძე, ნათია დოლიძე.

ხელოვნების კონფერენციის თემატიკა ასეთი იყო:

❖ „**პომპეის ისტორია და ხელოვნება**“ მომხსენებლები: ანი ჯავახიშვილი, მარიამ გიორგაძე, ნინო ვარდოსანიძე, მარიამ კობახიძე

№137 საჯარო სკოლა;

❖ „**დმანისის არქეოლოგიური აღმოჩენები**“ მომხსენებლები: ნინო ასლამაზიშვილი, ლალი ქვამარიაშვილი, ანი იაშვილი, მაკა გოგიაშვილი

თელეთის საჯარო სკოლა;

❖ „**დიდი ყორღანების ეპოქა**“ მომხსენებლები: ელენე მახარაძე, ეკა ტფენაძე, ლიზი ნინუა, გიორგი მგალობლიშვილი

№51 საჯარო სკოლა;

❖ „**ოქრომრავალი კოლხეთი**“

მომხსენებლები: გიორგი ბიჭაშვილი, მარიამ ჭუმბაძე, ანა მინაშვილი, მარიამ მთაწმინდელი, ანი ჩიხრაძე

№53 საჯარო სკოლა;

❖ „**იზბარის ხელოვნება**“ მომხსენებლები: ანასტასია დევედარიანი, ელენე ფხაკაძე, მარიამ მეგრელიშვილი, ელენე ფანცულაია, გიორგი სამხარაძე

თბილისის კლასიკური გიმნაზია;

ენყო ასევე მოსწავლეთა ნამუშევრების და №51 სკოლის პედაგოგის – იულია საროკინას უზადო ოსტატობით შესრულებული ხელნაკეთი ნივთების გამოფენა, რომლებმაც დამთვალიერებლის უდიდესი მოწონება დაიმსახურა. საღამო მუსიკალურად გააფორმეს მუსიკის პედაგოგებმა: თამარ ჭუმბურიძემ და მაკა მამასახლისმა, №51 სკოლის მოსწავლემ, ალექსანდრე შუბითიძემ



❖ „**თანამედროვე არქეოლოგია – გრაკლიანი**“ მომხსენებლები: მარიამ გულეღანი (№51 საჯარო სკოლა); ანასტასია დევედარიანი (თბილისის კლასიკური გიმნაზია);

თამარ იაშვილი (თელეთის საჯარო სკოლა);

მარიამ ვარდოსანიძე (№137 საჯარო სკოლა);

ანი ჩიხრაძე (№53 საჯარო სკოლა).

გაიმართა №51 საჯარო სკოლის კლუბის „ვიდეოსტუდია 51“ მიერ მომზადებული ვიდეორგოლის „ქართული არქეოლოგიის მხარდაჭერა“ პრეზენტაცია (ავტორები: ელისაბედ ჩიჩუა, ელენე ჩიჩუა). ვიდეორგოლმა მაყურებლის ემოცია და აპლოდისმენტები დაიმსახურა. პროექტის დასკვნით ღონისძიებაზე მო-

შეასრულა საფორტეპიანო კლასიკური ნაწარმოებები, ქართული ხალხური სიმღერები კი ხუთივე სკოლის მოსწავლეებმა შეასრულეს (ხელმძღვანელები: მარინა გახუტიშვილი, ლელა სამხარაძე).

დამსწრე აუდიტორიას სიტყვით მიმართეს მოწვეულმა სტუმრებმა. ქალბატონმა მედეა სამსონიამ ყველა მონაწილეს სიგელეები გადასცა. №51 სკოლის დირექტორმა მანანა თურქაძემ დადებითად შეაფასა განხორციელებული პროექტი, მადლობა გადაუხადა სტუმრებს მხარდაჭერისა და აქტიურობისთვის და წარმატებები უსურვა მოსწავლეებს.

მარიამ გულეღანი  
IX კლასის მოსწავლე





სასკოლო აქტივობა

მათემატიკის ზამთრის სასკოლო ოლიმპიადა

სსიპ აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ გეზათის საჯარო სკოლაში (სკოლის დირექტორი – ნათელა კიკაბიძე), მათემატიკის კათედრის მიერ, მეზუთე წელია ხორციელდება პროექტი „ზამთრის სასკოლო ოლიმპიადა“, რომელიც, ტრადიციულად, წელსაც ჩატარდა სახელწოდებით „ზამთარი 2015“.

პროექტის მიზანი იყო მათემატიკაში სწავლის მოტივაციის გაზრდა, მოსწავლეებში ლოგიკური აზროვნებისა და ანალიზის უნარის განვითარება, ნიჭიერი მოსწავლეების გამოვლენა და მშობელთა ჩართულობის ამაღლება.

მათემატიკის მასწავლებლების (ზაირა რევაზიშვილი, ნათელა კიკაბიძე, იზაბელა გაბუნია) მიერ შეირჩა ოლიმპიადის ამოცანები, შემუშავდა შეფასების კრიტერიუმები და დადგინდა ოლიმპიადაში გამარჯვებულ მოსწავლეთა ქულათა რაოდენობა.

ოლიმპიადაში მონაწილეობდნენ II-IX კლასების მოსწავლეები. დამკვირვებლად მონაწილე იყვნენ მშობლები. ოლიმპიადის ამოცანების გამსწორებელმა კომისიამ შეაფასა მოსწავლეთა ნამუშევრები და გამოავლინა გამარჯვებულები, რომლებიც

დაჯილდოვდნენ სიგელებითა და დიპლომებით.

ლუკა ფირცხელავა, მე-9 კლასის მოსწავლე: „ხუთი წელია ემონაწილეობ მათემატიკის სასკოლო ოლიმპიადაში, რამაც საკმაო გამოცდილება შემძინა. საშუალება მომეცა გამოვეცადა საკუთარი შესაძლებლობები, კმაყოფილი ვარ შედეგით, დავეჯილდოვდი II ხარისხის დიპლომით. ამიმაღლა ინტერესი მათემატიკისადმი.“

ნატო მიმინოშვილი, მშობელი, სამეურვეო საბჭოს წევრი: „ოლიმპიადა ჩატარდა მშვიდ გარემოში. მოსწავლეები მუშაობდნენ დიდი ინტერესით, დაველებდნენ ასრულებდნენ დამოუკიდებლად. პროექტი ხელს უწყობს მოსწავლეთა დაინტერესებას მათემატიკით და მშობელთა ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში.“

ზაირა რევაზიშვილი, მათემატიკის მასწავლებელი: „გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ასეთი ტიპის პროექტები სკოლაში ამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას და სწავლის ხარისხს.“



იზაბელა გაბუნია მათემატიკის კათედრის თავმჯდომარე, უფროსი მასწავლებელი

გადავარჩინოთ ნაძვის ხე

წელს თოვლის ბაბუამ, მოუცლევლობის გამო, სანტას სთხოვა ახალი წელი მოელოცა ჩვენი მოსწავლეებისთვის, მაგრამ სანტას მკაცრად განერიდა გრაფიკში ჩვენი დრო და ადგილი აღარ იყო, თუმცა მოხერხებული სანტა არ დაიბნა და პეპი გრძელწინდა გამოგზავნა, რომელმაც ბავშვებს აუწყა, რომ მსოფლიოში ყველაზე კეთილი და ძლიერი გოგონაა, რომ საშინლად არ უყვარს სკოლაში სიარული, მაგრამ ძალიან მოსწონს გართობა და ამიტომ ბავშვებმა მას წითელქუდა და ბებია-მგელი გააცნეს, გურული ბენედიქტე და „ენაჩასადები“ ბიჭები, მანანა და ლალი, „იანანამ რა ჰქმნა?!“, აჭარული, რაჭული, ხევსურული, სვანური ცეკვა-სიმღერები წარუდგინეს, პეპიმ კი მათ ნამცხვრებით და კარლსონის გამოგზავნილი ფუნთუშებით უმასპინძლა. თვითონ კარლსონი კი ბიჭუნასთან ერთად ეგზოტიკურ კუნძულზე იმყოფება.

ლონისძიებს ვერ ესწრებოდა ჩვენი დირექტორი ნაზი საბანდი, რომელიც „იმედის გმირები“ ფინალურ ღონისძიებაზე იყო მიწვეული. წასვლის წინ მან გაითვალისწინა თოვლის ბაბუას მოუცლევლობა და პატარებისთვის საჩუქრები დაგვიტოვა.

დეკემბრის შუა რიცხვებში გამოვაცხადეთ შიდასასკოლო კონკურსი „მოდის ახალი წელი“, რომელიც ითვალისწინებდა შარშან დაწყებული ტრადიციის – გადავარჩინოთ ნაძვის ხე – გაგრძელებას და მოსწავლეებს (როგორც კლასს, ასევე ინდივიდუალურად) ნაძვის ხეების შექმნა დაევალით, გამარჯვებული ნაძვის ხით კი – საახალწლო ზეიმის აღნიშვნა. კონკურსი გამოცხადდა საკლასო ოთახის ინტერეის მორთვაზეც. სკოლის ყველა მოსწავლე და კლასის დამრიგებელი აქტიურად შეუდგნენ მუშაობას. სახალისო იყო მუშაობის პროცესი.

ამ დღეს შიდა სასკოლო კონკურსში გამარჯვებულებიც დაჯილდოვდნენ, რომლებიც კომპეტენტურმა ფიურიმ გამოავლინა. პირველ ადგილზე, დაწყებით საფეხურზე, ნინელი ეჯიბაძის პირველი კლასი გავიდა, ხოლო მეორე საფეხურიდან – ლუარა სარიშვილის მერვეკლასელები. ფიურის სიმპატია მეშვიდეკლასელი ბიჭები გახდნენ. საუკეთესო ნაძვის ხისთვის კი პირველკლასელი ნიკა ანსიანი სპეციალური დიპლომით დაჯილდოვდა.

პირველკლასელები ნინელი მასწავლებელმაც სამახსოვრო საჩუქრებით დააჯილდოვა. ლექსო ჭკალუამ მადლობა გადაუხადა დამრიგებელს და აღნიშნა, რომ მათი გამარჯვება ლუარა სარიშვილის დამსახურება იყო.

ლონისძიების ორგანიზატორები მანანა კვირიკაძე და ლუარა სარიშვილი გახდნენ.



\*\*\*

ხალხმრავლობა იყო 24 დეკემბერს ნაკრის სასოფლო კლუბში. საჯარო სკოლის (დირექტორი – სპარტაკ გვარამია) დაწყებითი კლასის მოსწავლეებმა საახალწლო პიესა წარმოადგინეს. პატარა მსახიობების გაბრწყინებული სახეები მოწმობდა, რომ ბავშვობა ნამდვილად ზღაპარია და ბავშვების სამყარო თბილი და ანკარაა! პატარებს უფროსკლასელები შეენაცვლნენ და წარმოადგინეს სკეტჩები, სხვადასხვა თოქ-შოუების პაროდები და ცეკვები. ღონისძიების ხელმძღვანელი პედაგოგი სულიკო გირგვლიანი გახლდათ.

საოცარი იყო თამარ გვარამიანის მიერ შესრულებული პეიზაჟი.

და კიდევ, რაც ყველაზე მეტად გამიხარდა, იყო ის, რომ ზეიმი ცოცხალი ნაძვის ხის გარეშე, ორიგინალურად მოფიქრებული ნაძვის ხით ჩატარდა და ერთი ნაძვი გადარჩა, რისთვისაც პირადად ვუხდი მადლობას ბუნების ქომაგებს!



\*\*\*

ხაიშის საჯარო სკოლაში (დირექტორი – ზურაბ ქანთარია) საახალწლო კონცერტი 25 დეკემბერს გაიმართა.

მუსიკის პედაგოგს იზა ჩავეტაძეს უკვე იცნობთ. მან მოკლე დროში შეძლო კლასიკური ქართული სიმღერა შეეყვარებინა ხაიშელი პატარებისთვის. ქალბატონი იზა მალე შემოგვთავაზებს პროექტს „ქართული ჰანგები“, რომელზეც მომავალში გვიამბობთ ვრცლად.

ხაიშელი მოსწავლეები კარგი დეკლამატორებიც აღმოჩნდნენ და მოცეკვავეებიც. ნინო ქობალიას ხელმძღვანელობით მომზადებულმა საცეკვაო ნომრებმა საყოველთაო მონონება დაიმსახურა.

ხაიშშიც, როგორც ნაკრაში, ხელოვნური ნაძვის ხე იწონებდა თავს. კარგი იქნება, თუ

სხვა სკოლებიც მოგვბაძავენ და ყოველ ახალ წელს, სვანეთში, სულ ცოტა 25 ნაძვის ხე გადარჩება.

ფოიეში თავს იწონებდა ნანა მუშუკუიანის მიერ მაკულატურისგან შექმნილი ზამთრის პეიზაჟი და ნატვრის ხე, კედელზე – საქართველოს დროშა, ასევე ნორჩ მხატვართა გამოფენა, საახალწლო გაზეთები და ნაძვის ხესთან დინჯი თოვლის ბაბუა!

საქართველოს ყველა სკოლის მოსწავლემასწავლებლებს ვულოცავ შობა-ახალ წელს! მშვიდობით, წარმატებებით, ბედნიერებით და სიყვარულით სავე წელი დავედგომოდეს!

ლალი მარგინი ლაზარელის საჯარო სკოლა





სპორტი

# წლის აღმოჩენა გოგონები

ირაკლი თაყაიძე

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ შარშანდელი სპორტული სეზონის ლაურეატების დასახელებისას „წლის აღმოჩენა“ 17-წლამდელი ძიუდოსტი გოგონების გუნდი მიიჩნია, რაც ამ ნიჭიერ სპორტსმენებზე ნამდვილად აღაღია. მათ ხომ შარშან წამდელი ფურორი მოახდინეს – ჯერ ევროპაში, კონტინენტის პირველობაზე, მერე კი თბილისში, ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე. ევროპამ მათი პირველი გამოჩენა „ქართულ დინამიტად“ მონათლა, რომელიც თბილისში კიდევ ერთხელ აფეთქდა და ძიუდოს კარგად განსწავლულ ადგილობრივ ქომაგს ბიჭების გუნდის ქომაგობა გვერდით გადაადებინა, მთელი აპლოდისმენტებით თავად მოიხვეჭეს. მათ ტრიუმფალურ გამოსვლებზე ბევრი დაგვიწერია და სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, თუმცა ერთ გამოთქმას გვერდს ვერ ავუვლით, რადგან ის ცნობილ ქალ ძიუდოსტს, საფრანგეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელს, მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიურ ჩემპიონ ლუსი დეკოსის ეკუთვნის. ქართველებს ბიჭები რომ ძლიერები ჰყავთ, ვიცით, მაგრამ ახლა მათმა გოგონებმაც თუ ასე დაინყეს ჭიდაობა, რა გვეშველება, ჩვენ სადღა მოვიპოვოთ მედლები, თქვა პატარა ქართველი გოგონების ჭიდაობით გაოგნებულმა დიდმა ჩემპიონმა. ამ რანგის სპორტსმენის შეფასება კი ყველაზე დიდი კომპლიმენტია.

აქვე მოკლედ შეგახსენებთ ამ გუნდის შარშანდელ მონაგარს: ევროპის ჩემპიონატზე თითო ოქრო და ბრინჯაო მოიპოვეს, თუმცა ბრინჯაოსთვის კიდევ ერთმა იჭიდავა. ჩემპიონი **მზია ბებოშვილი** (52) გახდა, ვინც საჭიდაო სახეობებში ქართველ ქალთაგან პირველი მედალოსანია ოფიციალურ ტურნირებზე (2013 წელს ჭაბუკებში ევროპის პირველობაზე ბრინჯაო მოიპოვა). მესამეზე კი **მარიამ ჭანტურია** (57) გავიდა. ბრინჯაოსთვის შეხვედრა ნაავი **ნინო მგელაძემ** (52), ხოლო მძიმე წონაში **სოფო სომხიშვილი** მეშვიდე იყო.

თბილისში ოლიმპიურ ფესტივალზე გუნდი კიდევ უფრო კარგად გამოვიდა – 2 ოქრო და 1 ბრინჯაო მოინადავლა. პირველი ოქრო ბებოშვილმა მოიპოვა, რომელსაც მეორე დღეს მხარი **ეთერ ლიპარტელიანი** (57) აუბა, თუმცა ამათ წარმატებამდე თავი **ნატალია ყიფშიძემ** გამოიჩინა, რომელმაც 48 კილოგრამში ბრინჯაო ირგუნა. ვინძლო, შედეგი უკეთესიც ყოფილიყო, მაგრამ ამ ტურნირზე ასაკობრივი შეზღუდვა მოქმედებს და ყველაზე პატარებს – ჭანტურიას და სომხიშვილს გამოსვლის ნება არ დართეს.

ნაკრებში სხვებზე გამოდიოდნენ, არანაკლებ ნიჭიერები და პერსპექტიულები. მაგალითად, თბილისში **ნათია მიქაბერიძემ** (63) იჭიდავა და უმედლოდ კი დარჩა, მაგრამ კარგი ასპარეზობით მოგვანონა თავი. მაგალითად, ერთ შეხვედრაში ოთხი სხვადასხვა ილეთი გააკეთა, ამდენს კი ბიჭები ვერ აკეთებენ. თუმცა ტექნიკურ, ლამაზი ჭიდაობა, ზოგადად, ახასიათებს ამ გუნდს, რაც მათი მწვრთნელების – **გია თენაძის**, **კახა მოცრაძის**, **ლუდა ფერაის**, **ნანი კირკიტაძის** და სხვათა დამსახურებაა. ზოგადად, გოგონები, ბიჭებთან შედარებით, ვაცილებით ლამაზად ჭიდაობენ. თან, მისასალმებელია ის გარემოება, რომ ქალთა ძიუდოს გეოგრაფია საკმაოდ

ვრცელია – გუნდში არიან თბილისელები, ბათუმელები, გორელები, კახეთის სხვადასხვა რეგიონების წარმომადგენლები – ლიპარტელიანი ლენტეხელია, ჭანტურია – აბაშელი. მათ გარდა, არიან სპორტსმენები ქუთაისიდან, ზესტაფონიდან, კასპიდან. ჯერჯერობით, ქალთა ძიუდო მასობრივად ვერ დაიკვების, მაგრამ ინტერესი სულ უფრო მეტად იზრდება.

ბედმა იხება, რომ ამ ბავშვებმა ქართული სპორტის, ქართული კულტურის ისტორია დანერონ – ფაქტობრივად, მათ ყამირის გატეხვა უნევთ. მართალია, ქალბის ძიუდო ჩვენთვის უცხო არაა, მაგრამ გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს არსებული ბუმი წარსულს ჩაბარდა, ამ თაობას კი ყველაფრის თავიდან დაწყება უნევს. თუმცა, ყველაზე ძნელი მენტალიტეტთან ბრძოლაა, საქართველოში ჭიდაობა ჯერაც არ მიიჩნევა ქალთა საქმედ. არადა, ის სულაც არ არის ჩვენთვის უცხო – ნინა საუკუნეებში, ნესტორ ესებუას და კულა გლდანელის ეპოქაში გვევლია მოჭიდავე ქალები, რომლებიც ამ ბუმბერაზ ფალავებზე არანაკლებ პოპულარული ყოფილან. მათი ისტორიები და ფოტომასალა იმდროინდელ პრესას შემოუნახავს. მოგვიანებით კი, ქალი და ჭიდაობა იმდენად იუცხოვა ჩვენმა მენტალობამ, რომ დღეს ეს წარმოდგენილიც კი გვევლია. არადა, მეზობელ ქვეყნებში, მათ შორის მუსულმანურ სახელმწიფოებშიც, სადაც თითქოს ქალთა უფლებები შედარებით შეზღუდულია, ისევ და ისევ საზოგადოებრივი აზრის გავლენით, ქალები ყველაზე ჭიდაობენ. მართალია, სხვადასხვა ქვეყნებში ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაა განვითარებული, მაგრამ ფართოდ ფეხმოკიდებული კია. მაგალითად, თურქეთსა და აზერბაიჯანში უფრო ძიუდოს მისდევენ და ორივეს საკმაოდ ცნობილი ათლეტები ჰყავთ, თუმცა აზერბაიჯანში თუ ბოლო წლებში განვითარდა და ავიდა ახალ სიმაღლეზე, თურქეთი ტონის მიმცემად მიიჩნევა მსოფლიოში. ჩრდილო კავკასიაში ქალთა ჭიდაობა ყველაზე მეტად დაღესტანშია განვითარებული, სადაც თავისუფალ მისდევენ და არაერთი ძალიან მაღალი დონის, უმაღლესი ტიტულების მფლობელიც ჰყავთ.

სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ იმ რეგიონის სხვა ავტონომიებში, სადაც კარგადაა განვითარებული ვაჟთა ძიუდო თუ თავისუფალი ჭიდაობა (ჩრქნეთში, ჩრდილო ოსეთში, ინგუშეთში, ყაბარდო-ბალყარეთში), ქალთა ჭიდაობა არაა ასეთ დონეზე აყვანილი. იმედია, ეს კომპლექსი, ეს მენტალიტეტი ჩვენთანაც დაიძლევა და სულ უფრო მეტი ქალი ივარჯიშებს ჭიდაობაში. ამის ნიშნები არის ძიუდოს, სამბოს, თავისუფალი ჭიდაობის მაგალითზე, სადაც უკვე გაჩნდა მოვარჯიშება ჯგუფებიც და მედლებიც. ჯერჯერობით, თავისუფალი ჭიდაობა ჩამორჩება დანარჩენ ორს, მაგრამ იქაც მრავლდება ჯგუფები – გორსა და ოზნი ადრეც იყო, ახლა კი ამ პროცესში თბილისიც აქტიურად ჩაერთო. ვფიქრობთ, არაფერია მიუღებელი ქალის ჭიდაობაში – ეს ხომ სპორტია, რომელიც ორგანიზმის გაჯანსაღებას უწყობს ხელს, ჯანმრთელობა კი ქალსაც და კაცსაც ერთნაირად სჭირდება. იმედია, ძიუდოში მასობრიობის გაზრდას ხელს საჯარო სკოლებში გახსნილი ჯგუფებიც შეუწყობს, რომელთა რიცხვიც, საბედნიეროდ, დღითი დღე იზრდება. მართალია, ისინი ჯერ ძირითადად ბიჭებითაა დაკომპლექტებული და გოგონები აქა-იქ



თუ გამოერევიან, მაგრამ ის დღეც დადგება, როცა მხოლოდ გოგონების ჯგუფებიც გაიხსნება. ჯერჯერობით კი, ქალთა სექციები მხოლოდ ბათუმში, საგარეჯოში და თბილისშია.

აქ კიდევ ერთხელ უნდა შევეხოთ იმ პრობლემას, რაზეც არაერთხელ დაგვიწერია და რამაც ბებოშვილი ფრიად აზარალა – იმედია, განათლების კანონიც იმგვარად შეიცვლება, რომ სპორტში მოვარჯიშე ბავშვებს ხელს არ შეუშლის, თორემ ბებოშვილი, 2013 წელს, სწორედ იმ ზემოხსენებული ისტორიული მედლის მოპოვების დროს, კლასში ჩატოვებს, რადგან ევროპის ჩემპიონატზე ყოფნისას გაცდენილი გაკვეთილები არასაპატიოდ ჩაუთვალეს. მსგავს შემთხვევაში, კანონი არანაირ შეღავათს არ ითვალისწინებს. პირიქით, გამცდენის დასჯას ითხოვს. კიდევ კარგი, ორი წლის შემდეგ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან დიდი მოციქულობის კვალად, ვითარება გამოსწორდა და შარშან ბებოშვილს მიეცა ექსტრენად გამოცდების ჩაბარების უფლება, რაც წარმატებით შეასრულა და თავის კლასსაც დაენია.

ძიუდოსტი გოგონების წლებანდელმა ბრწყინვალე ჭიდაობამ ყველა დაარწმუნა, რომ 2020 წლის ტოკიოს ოლიმპიადამდე უკვე ქალებშიც გვეყოლება გუნდი – მათ ნამდვილად შესწევთ ამის ძალა. რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადისთვის ისინი ჯერ პატარები არიან – უკლებლივ ყველა მათგანი საჯარო სკოლის მოსწავლეა და ჯერ მზად არ არიან უფროსებთან საჭიდაოდ, მაგრამ ნელ-ნელა აქედანვე აჩვენებენ უფროსებთან ასპარეზობას. არაა გამორიცხული, რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადამდეც გვეყავდეს მონაწილე – ახალგაზრდებში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **მარიამ ჯანაშვილი** (52) უკვე ჩაება სალიცენზიო შეჯიბრებებში, ოღონდ ის ამათვე იროდენ წლით უფროსია, უკვე დამთავრა საჯარო სკოლა. იმედია, ამ პატარა გოგონების თაობა საქართველოს არაერთ გამარჯვებას მოუტანს.









# 23 თვე



2015 წლის მიწურულს, ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, მოეწყო ნიჭიერი მხატვრის, 14 წლის **თეკლა მელაძის** მეორე პერსონალური გამოფენა „23 თვე“. პირველი გამოფენა ქუთაისის ლადო მესხიძის სახელობის დრამატულ თეატრში გაიმართა.

თეკლა მელაძემ ხატვა 23 თვის წინ დაიწყო და ასზე მეტი ნამუშევარი შექმნა. 2014 წელს, არტ ექსპო ნიუ-იორკის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, 13 წლის ასაკში გახდა პირველი ქართველი ვი აი პი სტუმარი და ყველაზე პატარა მონაწილე ექსპოს არსებობის 37-წლიან ისტორიაში. მისი ნამუშევრებით დაინტერესდა მსოფლიოში ცნობილი არტ-მენეჯერი **ლინდა მარიანო**. თეკლას ნამუშევრები მოხვდა არტ ექსპო ნიუ იორკი 2014 და 2015 წლების კატალოგებში. მას მონაწილეობა აქვს მიღებული ათამდე ჯგუფურ გამოფენაში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. აღსანიშნავია, რომ თეკლა მელაძეს არავითარი სამხატვრო განათლება არ აქვს.

2014 წელს საქართველოს კულტურულ-

საგანმანათლებლო დაწესებულებების შემოქმედებითმა კავშირმა პირველი ადგილი მიაკუთვნა საუკეთესო ნამუშევრისათვის. აღფრთოვანებას ვერ მალავენ თეკლას ნამუშევრებით და კოლეგად მიიჩნევენ ფერწერის ისეთი დიდოსტატები როგორებიც არიან: **ზურაბ ნიჭარაძე, გიორგი წერეთელი, რეზო ადამია** და სხვები.


აი, რას წერს პოლონეთის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე **თომას ავდეუზიკი**: „თეკლა მელაძის ნახატების საოცარ სიერცეში მოხვედრისას, მივხდები, რომ მას აქვს შეუზღუდავი შესაძლებლობები ხელოვნებაში. პეიჟაჟების და პორტრეტების განსაკუთრებული ხედვა. აღფრთოვანებული ვარ მისი ალქმის უნარით, ტექნიკით და, რაც მთავარია, ფერებით.“

ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან გავხდები თანამონაწილე თეკლას მსოფლიო კარიერის დასაწყისისა.“

რეზა თოფურია



## მასწავლებლის საშუაო რვეული



მასწავლებლის საშუაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:

1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გააცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გააცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

## ინტერაქტიული მეთოდების კრებული




კრებულში აღწერილია ინტერაქტიული სწავლების მეთოდები; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

## მასწავლებლის ბიბლიოთეკა

### კათედრის გაგების პორტფოლიო



კათედრის გაგების პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გაგების აღრიცხვას, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გაგებით განსაზღვრული საჭიროებები. შეასვს სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხლომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საჭიროების განსორცხვებში.

6 ლარი

### მასწავლებლის კალენდარი



2015-2016 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია დაგეგმოს და ჩინოს მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას.

კალენდარს ახლავს პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შეასვსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეგისტრირების და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

5,50 ლარი

შეკენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599880073, 0322958023



მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტაბულაშვილის ძ. №3  
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073  
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735  
ა/ა GE86BG000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ზ/კ BAGAGE22,  
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X



9 772233 386008 >